www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 26 ივნისი, 2012 წელი. | №3048 (141) | ფასი 50 თეთრი

## „მასთ ქერის“ პრინციპი კვირის ბოლომდე დამტკიცდება

დათო გამისონია

გუშინ ცნობილი გახდა ვადა, როდესაც პარლამენტი წინასაარჩევნოდ “მასთ ქერის” (მაუწყებლის სავალდებულო ტრანზიტის) პრინციპის შემოღებას დააკანონებს. ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ინიციატივას დაჩქარებული წესით დაარეგისტრირებენ. ამისთვის პარლამენტის ბიურო დღეს კიდევ ერთხელ შეიკრიბება და პროექტის მიღების დღის წესრიგსაც განსაზღვრავს. როგორც დავით ბაქრაძე ამბობს, ხუთშაბათსა და პარასკევს პარლამენტში რიგგარეშე სხდომები გაიმართება.

ვიცე-სპიკერი “ქრისტიან-დემოკრატებიდან” ლევან ვეფხვაძე “მასთ ქერის” შესახებ ხელისუფლების შემხვედრ წინადადებას მიესალმება. ვეფხვაძის თქმით, ის ფაქტი, რომ ამომრჩეველს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან მიღების საშუალება ექნება, პლურალისტული გარემოს ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია. დეპუტატი საკანონმდებლო ცვლილების საკითხზე კონსულტაციებში მონაწილეობისთვის მზად არის, თუმცა იმ მოტივებზე საუბრობს, რომლებიც, მისი აზრით, ხელისუფლებას “მასთ ქერის” პრინციპის შემოღებას აიძულებს.

გაგრძელება მე-<None> გვერდზე

## ილიას მთავარი მკვლელის ვინაობა დოკუმენტით დადასტურდა

ინტერვიუ ნოდარ გრიგალაშვილთან




**- ბატონო ნოდარ, თქვენს წიგნში “თანამდევი სული”, რომელიც 24 საათში 1990 წელს დაიბეჭდა, წერთ, რომ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაური “ვინმე იმერელი” იყო არა ღორეშელი სერგო ორჯონიკიძე, არამედ მცხეთელი ილიკო იმერლიშვილი. ამას წინათ ისტორიკოსმა თენგიზ სიმაშვილმა ჩვენს გაზეთში დაბეჭდა ინტერვიუ, სადაც ამბობს, რომ ეს ვერსია უკვე დოკუმენტურად დადასტურდა და ამ დოკუმენტებს სწორედ თქვენს ჟურნალში “ცისკარში” დაბეჭდავს. რას გვეტყვით დამატებით ამის შესახებ?**

- პირველ ყოვლისა, მინდა, გულწრფელი მადლობა შევწირო გაზეთ “24 საათს”, რომელმაც უპრეცედენტო რამ ჩაიდინა - ჩემი ორტომეული “თანამდევი სული” 6 თვის განმავლობაში, გაზეთის 104 ნომერში იბეჭდებოდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## გაეროს ჯილდო იუსტიციის სახლს



*ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინაში სახელმწიფო სერვისების კუთხით განხორციელებული რეფორმების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, სადაც სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისთვის დაწესებული სპეციალური ჯილდო საქართველოს იუსტიციის სახლს გადაეცა. იუსტიციის სამინისტროს დელეგაციას მინისტრის პირველი მოადგილე თინა ბურჯალიანი ხელმძღვანელობს.*

გაგრძელება მე-2 ვერდზე

## თურქეთი-სირია: სკანდალური „ფანტომი“



ხათუნა გაბიევი

სირიის საზენიტო სისტემების მიერ თურქული ავიაგამანადგურებლის ჩამოგდებას საერთაშორისო გამოხმაურებაც მოყვა. დასაწყისში გაუგებრობად შერაცხული ინციდენტი უკვე სკანდალური თემა ხდება. სირიის სამოქალაქო ომს კიდევ ერთი მიზეზის გამო სანქციები გაუმკაცრდა. “ეფ-4 ფანტომის” კლასის ავიაგამანადგურებელი, როგორც გამოძიებამ დაადგინა, სირიამ დაგვიანებული რეაქციით ჩამოაგდო. კერძოდ, თვითმფრინავმა სირიის საზღვარი გადაკვეთა, მაგრამ მალევე მიიღო გაფრთხილება თურქეთიდან და სასწრაფოდ გაბრუნდა უკან. ავიაგამანადგურებლი სირიის საზღვრიდან 13 საზღვაო მილის დაშორებით ჩამოაგდეს. (ამის თაობაზე უკვე წერდა “24 საათი”) როგორც გაირკვა, საფრენი აპარატი სადაზვერვო დანიშნულების იყო და არა მოიერიშე ან გამანადგურებელი. თემას უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები გამოეხმაურნენ. მათ ლუქსემბურგში გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს და გადაწყვეტილება სანქციების თაობაზე ოფიციალურ დამასკოზე ზეწოლის გაძლიერების მიზნით მიიღეს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6476⇧ |
| 1 ევრო | 2.2056⇧ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.6029⇧ |
| 1 თურქული ლირა | 0.9351⇧ |
| 100 რუსული რუბლი | 5.5948⇧ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 11°C - 2°C |
| ქუთაისი | 6°C - 3°C |
| თელავი | 7°C - -1°C |
| ზუგდიდი | 6°C - 3°C |
| ბათუმი | 9°C - 5°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.30 | +0.01 | +0.36% |
| გაზი | 2.54 | -0.08 | -3.19% |
| ოქრო | 1,774.80 | -11.50 | -0.65% |
| ხორბალი | 641.00 | +0.25 | +0.04% |

**"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე**
**www.24saati.ge**
**ჩვენი პარტნიორები:**

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## ბაქოური ბარიერი “ზესტაფონისთვის”

უეფამ წილი ყარა




მიხეილ აბაიშვილი

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში გაიმართა 2012-13 წლების სეზონის ევროპის ჩემპიონთა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა, რომლის დროსაც გამოვლინდა საქართველოს ჩემპიონის - “ზესტაფონის” პირველი მეტოქე. სარეიტინგო სისტემიდან გამომდინარე, ქართული კლუბი პირველ კვალიფიკაციას გამოტოვებს და ტურნირში მეორე ეტაპიდან ჩაებმება, სადაც მისი მეტოქე იქნება აზერბაიჯანის ჩემპიონი ბაქოს “ნეფთჩი”.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

| | | |
|---|---|---|
| ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს | ~~5.90~~ | 4.90 |
| ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი | ~~9.00~~ | 4.00 |
| ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები | ~~6.90~~ | 3.00 |
| ქართველები ამერიკაში | ~~17.90~~ | 11.90 |
| კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი | ~~15.90~~ | 11.00 |

## ანდრია ბრუნო ბაგრატის ტაძრის დასავლეთის მკლავის სარეკონსტრუქციო პროექტს ერთ კვირაში წარადგენს

ბაგრატის ტაძრის დასავლეთის მკლავის სარეკონსტრუქციო პროექტს იტალიელი არქიტექტორი ანდრია ბრუნო საპატრიარქოში ერთ კვირაში წარადგენს.

საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის პრესმდივან თამარ კვანტალიანის განცხადებით,

ტაძარზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მხოლოდ დასავლეთის მკლავზეა შეჩერებული. ტაძრის დანარჩენ ნაწილზე კი სამუშაოები ვანო გრემელაშვილის პროექტის მიხედვით ხორციელდება.

"დასავლეთის მკლავის სარესტავრაციო პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს. იტალიელ არქიტექტორ-რესტავრატორ ანდრია ბრუნოსთან საპატრიარქოში შედგა შეხვედრა და მან ეკლესიის ყველა მოთხოვნა გაიზიარა. პროექტის ავტორი ძალიან მაღალი რანგის სპეციალისტია. მისთვის მისაღები აღმოჩნდა საპატრიარქოს ყველა შენიშვნა, რეკომენდაცია და დათანხმდა, რომ გაითვალისწინებს. შევთანხმდით, რომ მინა და ლიფტი გამოყენებული არ იქნება; შევთანხმდით ასევე დასავლეთის მკლავზე პატრონიკეს (აივანი ეკლესიის სივრცეში) ფორმასა და მასალაზე - კერძოდ, აღდგება პატრონიკეს ძველი ფორმა, რომელიც იუნესკოს მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება," - აღნიშნა კვანტალიანმა.

### აკადემიკოსი თენგიზ ონიანი



22 ივნისს გარდაიცვალა გამოჩენილი ნეიროფიზიოლოგი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ონიანი - ივანე ბერიტაშვილის ღირსეული მოწაფე 25 ივნისს 84 წლის გახდებოდა.

თენგიზ ონიანი დაიბადა 1928 წელს ქვემო სვანეთში, სოფელ სასაშში. 14 წლის ასაკში უკვე ოჯახის უფროსობა იტვირთა, მეურნეობას მიჰყვებოდა, - ძროხებს წველიდა, ხნავდა, თესავდა. წიგნის სიყვარულმა მთიდან ბარში ჩამოიყვანა, მეცნიერების მწვერვალები დააპყრობინა.

უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისში ჩამოვიდა, ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა, შემდეგ - სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ივანე ბერიტაშვილის მოწაფე გახდა. სახელოვანმა მასწავლებელმა ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტს დაავალა ერთი-ერთი აქტუალური საკითხის, - ნერვ-კუნთოვანი გადაცემის შესწავლა უხერხემლო ცხოველებში. ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე უარყოფილი იქნა გავრცელებული შეხედულება, თითქოს უხერხემლოებში აგზნების განსხვავებული მექანიზმები მოქმედებდნენ. ფაქტები საფუძვლად დაედო ჯერ სადიპლომო შრომას, შემდეგ კი საკანდიდატო დისერტაციას. 1965 წელს მონოგრაფიაც გამოიცა.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თ. ონიანი კათედრაზე დატოვეს სამუშაოდ სალექციო ასისტენტის თანამდებობაზე. საშტატო ერთეულზე ი. ბერიტაშვილმა პირადად იზრუნა.

1958 წელს თენგიზ ონიანი სამუშაოდ გადავიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც 1968 წელს დაარსებულ იქნა ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა პრობლემებს ნერვ-კუნთოვანი გადაცემის, ზურგის ტვინის, თავის ტვინის სტრუქტურების და ცხოველთა ქცევის ფიზიოლოგიიდან. ქცევის მოტივაციურ - ემოციური ასპექტების შესწავლამ იგი მიიყვანა ძილის ფიზიოლოგიამდე. ბატონმა თენგიზმა დაწვრილებით შეისწავლა ძილის ფაზები, მათი წარმოშობის მიზეზები, როლი მეხსიერების კონსოლიდაციაში, ღვიძილის და პარადოქსული ძილის ურთიერთობა, გაცნობიერებული სიზმარი, ღვიძილის როლი თავის ტვინის მოქმედების პათოლოგიების წარმოშობაში. .

აკადემიკოსი თენგის ონიანი იყო ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის, ძილის შესწავლის საერთაშორისო საზოგადოების, ძილ-ღვიძილის ციკლის მსოფლიო ფედერაციის წევრი, აგრესიის ბიოლოგიური და სოციალური ასპექტების შესწავლის საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი წევრი, უნგრეთის ფიზიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი, 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის ავტორი. ადამიანის ფიზიოლოგიის 10-ტომიანი სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი.

თ. ონიანის სამეცნიერო ნაშრომები აღნიშნულია ი. თარხნიშვილის და ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემიებით.

1975 წელს თ. ონიანი დაინიშნა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად. 1980 წლიდან აკადემიკოსი თენგიზ ონიანი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

აკადემიკოს თენგიზ ონიანს თავდაუზოგავი სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მთავრობამ "ღირსების ორდენი" გადასცა.

**ი.ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ლიანა კვირკველია**

## გაეროს ჯილდო იუსტიციის სახლს

პირველი გვერდიდან

იუსტიციიის სამინისტროს ინფორმაციით, იუსტიციის სახლმა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო აღიარება სახელმწიფოს მიერ საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით მოიპოვა.

**გაეროს ჯილდოს ფარგლებში რამდენიმე ნომინაციაა წარმოდგენილი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის ნომინაციაა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ახალ ბრენდს გადაეცა. საქართველო პირველი ქვეყანაა პოსტ საბჭოთა სივრცეში, რომლის პროექტმაც ასეთი აღიარება მოიპოვა. ეს ჯილდო ამ დრომდე არ მიუღია დსთ-ს და აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანას. სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისთვის დაწესებული ჯილდოს მფლობელები სხვადასხვა წლებში აშშ, კანადა, იაპონია, გერმანია, შვედეთი, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვა ქვეყნები იყვნენ,** - აცხადებს იუსტიციის სამინისტრო.

დაჯილდოების ცერემონიალის გარდა, ქართული დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს გაეროს ყოველწლიურ ფორუმში და სამუშაო შეხვედრებში, რომლის დროსაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები საკუთარი ქვეყნების გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. დელეგაციები მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა - სახელმწიფო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება, კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სექტორში, გამჭვირვალე და მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობა, ელექტრონული მმართველობა. ფორუმის დასასრულს, გაიმართება მინისტერიალი, რომლის მსვლელობისას გამარჯვებული ქვეყნების დელეგაციის ხელმძღვანელები ისაუბრებენ მათ ქვეყნებში დაგეგმილ რეფორმებსა და კონკრეტულ ღონისძიებებზე. ორდღიანი მუშაობის დასასრულს, მინისტერიალი ერთობლივ კომუნიკეს მიიღებს.

იუსტიციის სახლი იუსტიციის სამინისტროს სერვისების სრულიად ახალი კონცეფციის მქონე საჯარო დაწესებულებაა, სადაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნოტარიუსთა პალატის, ასევე სხვა უწყებების სერვისებია გაერთიანებული.

## მზადება ეროვნულებისთვის დასრულებულია

მაგდა ლეკიაშვილი

სახელმწიფო პროგრამა, რომელიც პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის მსურველებისთვის ვაუჩერებს გამოყოფს, ხელისუფლებამ წარმატებულად შეაფასა. პრემიერმ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, რომ დაფინანსების გაცემის მეორე ტალღა დაიწყო. ახალი პროფესიის შეძენის ნებისმიერ მსურველს შეუძლია, პირველ ივლისამდე განათლების სამინისტროს სპეციალურ ოფისებში დარეგისტრირდეს და სწავლის სახელმწიფო დაფინანსება - 1000-ლარიანი ვაუჩერი მიიღოს. პრემიერის თქმით, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამაა, რომელიც მთავრობამ წელს დანერგა. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ პროფსასწავლებლების ამოქმედება და სწავლის მსურველთა დაფინანსება უმუშევრობის მაჩვენებელს შეამცირებს და ეკონომიკას ახალ მუშა ძალას შესძენს. გილაურის თქმით, დადებითი შედეგი მოიტანა ამ პროგრამის პირველმა ტალღამაც, რომელიც მარტსა და აპრილში განხორციელდა. მაშინ ვაუჩერი სოციალურად დაუცველთათვის 100-პროცენტიან დაფინანსებას გულისხმობდა, დანარჩენი მოსახლეობისთვის კი - 70-პროცენტიანს. იმ შემთხვევაში, თუ პროფსასწავლებელში სწავლის მსურველს თანხის დარჩენილი 30 პროცენტის გადახდა არ უნდოდა, ზოგად უნარებში გამოცდის ჩაბარება უწევდა და წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო თანხას სრულად (1000 ლარს) გადაუხდიდა. გილაური ამბობს, რომ დაფინანსების მეორე ტალღაში მოხვედრილებიც იმავე პირობებით ისარგებლებენ. ის პირები კი, რომლებსაც ვაუჩერი არ შეხვდებათ, მოლოდინის რეჟიმში იქნებიან და სექტემბრის თვეში მიიღებენ.

**"ცენტრებში მაღალი დონის სპეციალისტები მუშაობენ. ადამიანთა 60-70 პროცენტი სამუშაოს ამ კურსების დამთავრებისთანავე - პირველივე თვეში პოულობს. შესაძლოა, დასაქმებულთა ციფრი უფრო მაღალია, თუმცა ჩვენ მხოლოდ კურსების დასრულების პირველ თვეს ვითვლით. ყველას, ვინც დღეს სამსახურს ეძებს, მოვუწოდებ, პირველ ივლისამდე განათლების სამინისტროს ოფისში დარეგისტრირდეს,"** - ამბობს გილაური.

მისივე განცხადებით, საქართველოს მასშტაბით ჯერ 18 პროფესიული სასწავლებელია და ამ რაოდენობას სექტემბერში კიდევ 3 შეემატება. გარდა ამისა, კერძო სექტორიც გააქტიურდა და პროგრამაში უახლოეს მომავალში კერძო პროფსასწავლებლებიც ჩაერთვებიან.

გარდა პროფსასწავლებლების დაფინანსებისა, პრემიერმა ისაუბრა ეროვნული გამოცდების შესახებ, რომლებიც წელს უკანასკნელად ტარდება. პრეზიდენტის ინიციატივით, მომავალი სასწავლო წლიდან გამოცდები 8+1 მოდელით ჩატარდება - სკოლის 8 გამოცდის ჩაბარების შემდეგ აბიტურიენტებს მხოლოდ ერთი გამოცდის, უნარების ჩაბარება მოუწევთ და ისიც სკოლაში. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასატარებლად ყველაფერი მზად არის. ეროვნულები საქართველოს მასშტაბით 28 ივნისს დაიწყება. პარალელურ რეჟიმში წარიმართება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები. გილაურის თქმით, ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულია 35 ათასი აბიტურიენტი, ხოლო პედაგოგთა სერტიფიცირების გამოცდაზე - 39 ათასი მასწავლებელი. განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინის ინფორმაციით, 17-ვე საგამოცდო ცენტრი მზად არის გამოცდების დასაწყებად. დიდი ბრიტანეთიდან ჩამოსული ტესტები შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ოფისებშია გადანაწილებული.

**"საგამოცდო ციკლი 19 ივლისს დასრულდება. გრანტის და საბოლოო შედეგების გამოცხადებას წელს, პირველად, აგვისტოს არ გადავაცილებთ. შესაბამისად, აბიტურიენტებს ნერვიულობა აღარ მოუწევთ,"** - ამბობს განათლების მინისტრი.

## კონტროლის პალატა პოლიტიკური პარტიების შემომწირველებს გამოკითხავს

*პოლიტიკური პარტიებისთვის გაღებული შემოწირულობის წარმომავლობის დადგენისთვის, კონკრეტული პირებს კონტროლის პალატა მიმდინარე კვირას გამოკითხავს.*

**"ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონით დადგენილი მანდატის ფარგლებში ამოწმებს შემოწირულებათა კანონიერებას. მონიტორინგის პროცესში პირველ ეტაპზე გამოვლინდა შემოწირულებათა გარკვეული კატეგორია, რომელთა დასაბუთებულობა დამატებით გამოკვლევას საჭიროებს. აღნიშნულ გარემოებათა შესწავლისა და შეფასების მიზნით, ფინანსური მონიტორინგის სამსახური განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მათ შორის, გამოკითხვის პროცედურას,"** - აცხადებენ კონტროლის პალატაში.

როგორც კონტროლის პალატაში განმარტავენ, მონიტორინგის სამსახური იმ 32 პირის თანხების წარმომავლობასა და დასაბუთებულობას შეისწავლის, რომლებმაც გადარიცხვები განახორციელეს "თავისუფალი საქართველოს", "ნაციონალური მოძრაობის", "ახალი მემარჯვენეების", "რესპუბლიკური პარტიის", "კონსერვატიული პარტიის", "ეროვნული ფორუმის", საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნებისა" და კოალიცია "ქართული ოცნების" ანგარიშებზე.

კონტროლის პალატა გამოკითხავს "თავისუფალი საქართველოს" 6 შემომწირველს - ირაკლი ჭუბაბრია (15 829 ლარი); გიორგი მოსიაშვილი (25 070 ლარი); ალექსანდრე შალამბერიძე (8 050 ლარი); დავით თალაკვაძე (60 000 ლარი); ხვიჩა თოლორდავა (60 000 ლარი) და ბადრი ცინცქილაძე (8 020 ლარი).

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 8 შემომწირველი - ვლადიმერ ნარტყოშვილი (8 000 ლარი); ვასილ სულხანიშვილი (40 000 ლარი); მალხაზ ჭყოიძე (6 000 ლარი); ბეჟან ოდიშვილი (5 000 ლარი); სერგო ლაბარტყავა (40 000 ლარი); თამაზ ჯამაგიძე (40 000 ლარი); ელგუჯა ბერუაშვილი (20 000 ლარი); ზურაბ ინასარიძე (12 000 ლარი).

"ეროვნული ფორუმის" 8 შემომწირველი - ლეილა ჩქარეული (4 000 ლარი); კახა ჩაკვეტაძე (18 692 ლარი); მაია თანიაშვილი (4 997,50 ლარი); ავთანდილ დავითაძე (12 844 ლარი); ირმა დავითაძე (10 673 ლარი); მარინა ნადირაძე (6 500 ლარი); ლევან ჩიჩუა (4 997,50 ლარი); მარინე ავაზაშვილი (9 940 ლარი).

"საქართველოს კონსერვატიული პარტიის" 5 შემომწირველი - ბიძინა გუჯაბიძე (30 000 ლარი); გივი რამაზაშვილი (16 000 ლარი); გიგა ბუკია (35 450 ლარი); დავით ბაციკაძე (16 150 ლარი); შოთა ორთავიძე (1000 ლარი).

"ახალი მემარჯვენეების" შემომწირველებიდან მაკონტროლებელი უწყება მხოლოდ გურამ ასათიანმა დააეჭვა, რომელმაც პარტიისთვის 50 000 ლარი გაიღო.

კონტროლის პალატა შეკითხვებს "რესპუბლიკური პარტიის" ორ შემომწირველსაც დაუსვამს - გელა თევდორაშვილს (5 000 ლარი) და ნუგზარ ჩხიკვაძეს (25 000 ლარი).

საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნებისთვის" შეწირული 12 000 ლარისთვის გამოკითხვაზე ზაალ გოგსაძესაც დაიბარებენ. პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ანგარიშზე გადარიცხული 40 000 ლარის წარმომავლობის შესახებ ინფორმაციას კონტროლის პალატა ზურაბ აზმაიფარაშვილს მოსთხოვს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# „მასთ ქერის„ პრინციპი კვირის ბოლომდე დამტკიცდება

პირველი გვერდიდან

როგორც ვეფხვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ხელისუფლება ან მთელ საქართველოში "გლობალ ტვ"-ს სატელიტური თეფშების დამონტაჟებას უნდა შეგუებოდა, ან სატელევიზიო არხების სავალდებულო ტრანზიტის შეთავაზებას დათანხმებულიყო. **"საუკეთესო ვითარება იქნებოდა, ცალკე აღებულ მედიასაშუალებებს უფრო მეტად დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაცია გადაეცათ, თუმცა ფაქტია, რომ ხელისუფლების ან ბიძინა ივანიშვილის მიმართ ლოიალური ტელეარხებისგან ამის მიღწევა შეუძლებელია,** - ამბობს ლევან ვეფხვაძე, **- ამიტომ მისასალმებელია, რომ ამომრჩეველი წინასაარჩევნოდ ორივე კატეგორიის მედიასაშულებების მხრიდან გავრცელებულ ინფორმაციას მიიღებს."**

დავით ბაქრაძის ინიციატივას ფრაქციის "ერთობა სამართლიანობისთვის" წევრები მხარს დაუჭერენ. ფრაქციის თავმჯდომარემ დიმიტრი ლორთქიფანიძემ ბიუროს სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ "მასთ ქერის" პრინციპი არა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში, არამედ მუდმივად უნდა მოქმედებდეს. თუმცა, დეპუტატი დასძენს, რომ **"არჩევნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ახალი ინიციატივა წინგადადგმული ნაბიჯია."**

პარლამენტის რიგგარეშე სხდომებზე, "მასთ ქერის" პრინციპის შესახებ მომზადებული პროექტის გარდა, იგეგმება მე-3 მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილების დამტკიცება, რომლის თანახმად, ქალაქ ლაზიკას სტატუსი ორგანული კანონით განისაზღვრება. პარლამენტი რიგგარეშე სხდომაზევე მიიღებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის სახელმწიფო კონცეფციას.

29 ივნისის რიგგარეშე სხდომით პარლამენტის საგაზაფხულო სესია იხურება.

# „ყველა უნდა ემორჩილებოდეს კანონის უზენაესობას"

გუშინ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში გუბერნატორები და რეგიონების ხელმძღვანელი პირები მიიღო. როგორც პრეზიდენტმა შეხვედრაზე განაცხადა, დღეს გარკვეული ძალები გამოდიან ლოზუნგებით, თითქოს საქართველოში ვინმეს აჩუმებენ და ქვეყანაში ავტოკრატიაა. სააკაშვილის თქმით, პირადად უზრუნველყოფს, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეს.

**"რა ავტოკრატია, მართლა ხომ არ ბნელა, რომ ღია კარს ვამტვრევთ. სად არის საქართველოში თავისუფალი აზრის შეზღუდვა? როგორც მე ვარ ხელმისაწვდომი ყველა მოქალაქისთვის, მოვიდეს და გამოთქვას ჩემ შესახებ აზრი, ასევეა თითოეული თანამდებობის პირი. რამდენ ქვეყანაშია ჩვენ გარშემო ასეთი თავისუფალი და გახსნილი დამოკიდებულება მთავრობის წარმომადგენლებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის? აქ ყველაფერი გახსნილი და გამჭვირვალეა. გაქვთ თქვენი აზრი? - გამოთქვით. გინდათ მიტინგის ჩატარება? - ჩაატარეთ. გინდათ ვიღაცის გალანძღვა? - მლანძღეთ, რამდენიც გინდათ. აბსოლუტური იმუნიტეტი გამოვიმუშავე ყველანაირი შეურაცხყოფის მიმართ. არანაირი პრობლემა არ მაქვს. ყოველთვის ვუსმენ კრიტიკულ აზრს,"** - განაცხადა სააკაშვილმა. მისივე თქმით, პირადად მას და მთავრობასაც, განსხვავებით მისგან, ვინც "ხალხის არჩევანის მოქრთამვას ცდილობს", ქართველი ხალხის ეჭვგარეშე სჯერა.

**"პირადად უზრუნველვყოფ, რომ საარჩევნო პროცესის გაყალბებისა და მოქრთამვის ნებისმიერი მცდელობა კანონის სრული დაცვით დაისაჯოს. ეს დაიმახსოვროს ყველამ!"** -აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ბოლო 8 წლის განმავლობაში საქართველოში აშენდა სისტემა, რომლის თანახმად, კანონის უზენაესობას ყველა უნდა ემორჩილებოდეს - მიუხედავად სოციალური სტატუსისა, სიმდიდრისა თუ პოლიტიკური კუთვნილებისა.

**"როგორც ვიცით, გასული თვეების განმავლობაში გარკვეული პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებმა მიიჩნიეს, რომ უტიფარი აგრესიით შესაძლებელია შეტევის განხორციელება კანონიერი და სამართლიანი არჩევნების პრინციპებზე. მათ მოინდომეს, ეჭვქვეშ დააყენონ საქართველოს სახელმწიფოს უნარი, დაიცვას საკუთარი მოქალაქეების თავისუფალი არჩევნების უფლება. მათ უკვე თავად იწვნიეს და ყველამ უნდა იცოდეს, რომ მსგავსი მცდელობები არ გავა. ყოველ ცალკეულ მცდელობას კანონი აღკვეთს. საარჩევნო პროცესის მოქრთამვა ან ქართული დემოკრატიის ყიდვა არავის გამოუვა. ვისაც დღეს საქართველო ბანანის რესპუბლიკა ჰგონია, მთელი ამ წლების განმავლობაში ვერაფერი გაუგია,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები მორიგი გადამწყვეტი, ისტორიული მომენტი იქნება.

**"დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოება პოლიტიკური მოწიფულობით კიდევ ერთხელ გააოცებს მსოფლიოს. ეს არჩევნები თითოეულ ჩვენგანს, ხელისუფლების ყველა საფეხურზე, გვავალდებულებს, სამაგალითო საარჩევნო პროცესი უზრუნველვყოთ. ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ მე არ დავუშვებ, ვინმემ ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტების საიმედოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს,"** - დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# NDI-ს დელეგაცია მონიტორინგს იწყებს

საქართველოს ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დელეგაცია ეწვია. ვიზიტის მიზანი საქართველოში 2012 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ ქვეყანაში არსებული გარემოს შეფასებაა. წინასაარჩევნო პროცესს NDI ხელისუფლებასთან, საარჩევნო კანდიდატებთან, პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის, სამოქალაქო სექტორის, მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების საფუძველზე შეაფასებს.

29 ივნისს NDI-ს დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს შესახებ ძირითად დასკვნებს ანგარიშის სახით პრესკონფერენციაზე წარადგენს. მანამდე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წევრები არანაირ კომენტარს არ გააკეთებენ.

NDI-ს პრეზიდენტი კენეთ ვოლაკი გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს შეხვდა. ბაქტაძის მისი თქმით, აშშ-ს "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი" (NDI) საქართველოში წინასარჩევნო ვითარებას დააკვირდება.

პარლამენტის პრესსამსახურის ცნობით, დახურულ შეხვედრაზე NDI-ს დელეგაციის წევრები "მასთ ქერის" და "მასთ ოფერის" და პრინციპების შემოღების საკითხით დაინტერესდნენ. ამის შესახებ დავით ბაქრაძემ სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

**"ქვეყნის ხელისუფლება მოწოდებულია არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარებისთვის, რადგან საპარლამენტო არჩევნები საქართველოს მომავალ განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს,"** - აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

კენეთ ვოლაკმა პარლამენტის თავმჯდომარეს საარჩევნო პერიოდში NDI-ს მხრიდან როგორც რეკომენდაციების, ისე მონიტორინგის კუთხით დახმარება აღუთქვა და აღნიშნა, რომ NDI საქართველოს მიმართ ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენს.

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაციაში შედიან: მისურის შტატის მდივანი (შტატში არჩევნებზე პასუხისმგებელი არჩეული თანამდებობის პირი) რობინ კარნაჰანი; წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი და საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი სემ გეჯდენსონი; საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი (2006-2010) პერ ეკლუნდი, რომელიც ამჟამად სტოკჰოლმში უსაფრთხოებისა და განვითარების კვლევის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარია; NDI-ს პრეზიდენტი კენეთ ვოლაკი და NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო.

# ამნისტია ცხინვალში

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა ალა ჯიოევამ ციხეებისა და ამნისტიის შესახებ თავისი გეგმა განახორციელა. ცხინვალის პარლამენტმა ამნისტიის შესახებ დადგენილება მიიღო. ამნისტია შეეხება ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი.

დე ფაქტო რესპუბლიკაში ამნისტიის გამოცხადება ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრას დაემთხვა, სადაც ოსურმა მხარემ ქართველი პატიმრების გათავისუფლების მზადყოფნა გამოთქვა. ამჟამად ცხინვალის ციხეში სასჯელს საქართველოს 4 მოქალაქე იხდის. სანაცვლოდ, ოსური მხარე საქართველოს ციხეებში მყოფი ოსი პატიმრების გადაცემას მოითხოვს.

დე ფაქტო ხელისუფლება ითხოვს გაცვლას პრინციპით «ყველა ყველაზე". მომდევნო შეხვედრაზე მხარეები ერთმანეთს უკვე გასათავისუფლებელთა სიებს გადასცემენ. ქართული მხარე ამ მიმართულებით მოლაპარაკების მიმდინარეობას არ უარყოფს, თუმცა რამდენი ოსი პატიმარი დატოვებს საქართველოს ციხეებს, ჯერჯერობით უცნობია.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ვერშბოუს ვიზიტი 28 ივნისს დაიწყება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინიტრომ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიმდინარე კვირაში იგეგმება. ოფიციალური თბილისის ცნობით, 28-29 ივნისს ბათუმში ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდ ვერშბოუ ჩამოვა და თავდაცვისა და უსაფრთხოების ბათუმის კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიას შეფასებით, ვერშბოუს ვიზიტი საქართველოსა და ნატო-ს შორის მიმდინარე წარმატებული დიალოგის გაგრძელება და ჩიკაგოს სამიტზე საქართველოსთვის გამოცხადებული მხარდაჭერის დადასტურებაა.

კიდევ ერთ ოფიციალურ შეხვედრას ქართული მხარე 27 ივნისს დაიწყებს და 2 ივლისს დაასრულებს, თუმცა ამჯერად - არა საქართველოში. საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, მინისტრ გრიგოლ ვაშაძის ხელმძღვანელობით, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რეგიონებში გამართავს შეხვედრას. ვაშაძე მალაიზიასა და ინდონეზიას ეწვევა - ეს ქართული მხარის პირველი ვიზიტი იქნება. როგორც მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია ამბობს, აღნიშნული შეხვედრა ნაწილია საქართველოს საგარეო პოლიტიკისა, რომელიც მრავალმხრივ დიპლომატიურ ურთიერთობებსა და, ასევე, პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების დამყარებას ითვალისწინებს. ოფიციალური თბილისის ინფორმაციით, ინდონეზიაში გრიგოლ ვაშაძე თავის კოლეგას შეხვდება, გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი ორი მიმართულებით - საგარეო სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება და ტექნიკურ-ეკონომიკურ თანამშრომლობზე შეთანხმება. ინდონეზიაში საქართველოს საელჩო გაიხსნება და ამით, როგორც საქართველოს საგარეო სამინისტროში ამბობენ, ორი ქვეყნის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

საქართველოს დელეგაცია პეტერბურგშიც იმყოფება, სადაც დღეს იუნესკოს კომიტეტის სხდომა იწყება. სხდომის მუშაობაში კომიტეტის 21 წევრი ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიას ინფორმაციით, დღის წესრიგში ასეულობით საკითხია - მათ შორის ბაგრატისა და გელათის თემა. ჯალაღანის თქმით, საქართველო, სამწუხაროდ, იუნესკოს კომიტეტის წევრი ქვეყანა არ არის და უშუალოდ დებატებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

**"პეტერბურგში საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელმძღვანელობით და მსვლელობისას ქართულ მხარეს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მიეცემა,"** - განაცხადა დავით ჯალაღანიამ. მინისტრის მოადგილემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა საქართველოში წინასაარჩევნოდ დამკვირვებლების ჩამოსვლასა და რუსეთის სამხედრო წვრთნებზე "კავკავზ 2012". ჯალაღანიას განცხადებით, ამ დროისთვის საქართველოში წინასაარჩევნო პროცესებზე დასაკვირვებლად აშშ-ს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი და ეუთო-ს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მისიაა წარმოდგენილი. საგარეო უწყება დამკვირვებელთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა, ჯალაღანიას თქმით, საქართველოს ხელისუფლების და საზოგადოების მოთხოვნაა, ქვეყანაში ადრეულ ეტაპზე მეტი დამკვირვებელი ჩამოვიდეს.

**"დამკვირვებლებმა თვალყური უნდა ადევნონ არა მხოლოდ არჩევნებს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდს საქართველოში. საგარეო საქმეთა სამინისტროს აღნიშნული კუთხით საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია დაევალა. მაქსიმალურად ვცდილობთ, დამკვირვებლების დიდი არეალი მოვიცვათ,"** - ამბობს დავით ჯალაღანია.

რაც შეეხება რუსეთში დაგეგმილ წვრთნებს. ფრანგულ გამოცემა "ფიგაროში" გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთმა სამხედრო წვრთნები "კავკაზ 2012" გადადო და 2012 წლის შემოდგომაზე ჩაატარებს. თუმცა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამბობს, წვრთნები არ გადადებულა. ოფიციალური თბილისისთვის თავიდანვე იყო ცნობილი, რომ წვრთნები შემოდგომაზე ჩატარდებოდა. მისივე თქმით, "კავკაზ 2012" საქართველოში დანიშნულ არჩევნებს საეჭვოდ ემთხვევა, რაც ქართული მხარისთვის დამაიმედებელი ინფორმაცია არ არის.

**"ამ საკითხზე კომუნიკაციაში ვართ პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ვთხოვთ სიფხიზლეს და მოსალოდნელი ღონისძიების ადეკვატურ შეფასებას. ეს 2008 წლის რუსული აგრესიის წინა პერიოდს წააგავს. ნამდვილად არ გვმატებს ოპტიმიზმს არც რუსეთში არწასული პუტინის დაბრუნების ფაქტი და არც ის აგრესიული რიტორიკა, რომელიც რუსეთის ოფიციალური პირებისგან და გენერლებისგან კვლავ ისმის,"** - განაცხადა დავით ჯალაღანიამ. მისივე თქმით, რუსეთი ყოველთვის ცდილობს, აგრესია ხელოვნური საბაბით გაამართლოს. ამ ეტაპზე კი არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მინისტრის მოადგილის განცხადებით, საქართველოში პანიკის საფუძველი არ არსებობს, თუმცა სიფრთხილე საჭიროა.

**"დღეს არ გვაქვს იმის საფუძველი, პანიკა დავთესოთ და ვთქვათ, რომ რუსეთი მორიგ აგრესიას განახორციელებს. მაგრამ, რუსეთში მოვლენების განვითარების ლოგიკური ჯაჭვი გულხელდაკრეფილი ჯდომის საფუძველს არ იძლევა,"** - დასძენს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

*მაგდა ლეკიაშვილი*

# ილიას მთავარი მკვლელის ვინაობა დოკუმენტით დადასტურდა

პირველი გვერდიდან

გიგლა ბერბიჭაშვილი



ამ შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. ჩვენ შეგვიძლია, ერთად ვიამაყოთ და უკვე თამამად განვაცხადოთ, რომ **104 წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გახსნილია.** ის, რასაც მე ადრე ვწერდი, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურ ფაქტებს ვეყრდნობოდი, მაინც ვერსიად რჩებოდა, რადგან ხელთ არ მქონდა პირდაპირი საარქივო ჩანაწერი, სადაც სიტყვასიტყვით ეწერებოდა, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლა ილიკო იმერლიშვილმა. ისტორიკოსმა თენგიზ სიმაშვილმა არქივში ეს დოკუმეტიც აღმოაჩინა. ამით ამ მიმართულებით კვლევას, ვფიქრობ, წერტილი დაესვა.

**- იქნებ მოკლედ გვიამბოთ, როგორ მიხვედით ამ დასკვნამდე?**

- ამის მოკლედ აღწერა ძნელია, მაგრამ ვეცდები კი. 1986 წლიდან მოყოლებული, ვწერდი წიგნს ილიას ცხოვრებაზე საერთოდ და არა მის მკვლელობაზე. წიგნი დაწერილია ცალკეული წლების მიხედვით თანმიმდევრულად. 1837 წლიდან, ილიას დაბადებიდან მოყოლებული, მისი ცხოვრების ყოველი წელი ცალ-ცალკე მაქვს აღწერილი. მივადექი 1907 წელს. ჩემი ამოცანა იყო, დოკუმენტურად აღმედგინა ილიას მკვლელობის წინა დღეები და კვირები, რადგან მკვლელობა ბოლო დღეს - 30 აგვისტოს ვერ მომზადდებოდა. ამ დღეების დოკუმენტურად აღდგენა შევძელი კიდეც. გასარკვევი მრჩებოდა ერთადერთი საკითხი: კი, ბატონო, დიდი ილია ბოლშევიკებმა მოკლეს; კი, ბატონო, 1931 წელს იოსებ ირემაშვილმა ემიგრაციაში დაწერა, რომ აქ ირიბად სტალინის ხელიც ერია, მაგრამ რა იყო კონკრეტულად სტალინის როლი? ამ ბოლო კითხვაზე, გარდა შინაგანი რწმენისა, პასუხი არ მქონდა (ერთ-ერთი ისტორიკოსის "არგუმენტები", რომლებიც ამ საკითხს ეხებოდა, სრულიად არადამაჯერებლად ასახავდა რეალობას). რაც შეეხება სერგო ორჯონიკიძეს, მისი როლის გადამოწმება აინუნშიც არ მომსვლია, იმდენად დარწმუნებული იყო ქართული საზოგადოებრიობა, რომ "ვინმე იმერელი" სწორედ ორჯონიკიძე გახლდათ, ამის გადამოწმება არც მიფიქრია და მეც იმავეს ვწერდი. არის საყოველთაოდ მიღებული აზრები, რომლებსაც კაცი უაპელაციოდ იმეორებ, მაგრამ სტალინის კვალის ძიებაში ვნახე, რომ არც ორჯონიკიძის შესახებ დაბეჭდილი მასალები გამოიყურებოდა დამაჯერებლად. ასე რომ, იძულებული გავხდი, "24 საათში" წერილების ბეჭდვა შემეჩერებინა. ვთხოვე თქვენს რედაქტორს, ბ-ნ მამუკა ფაჩუაშვილს ნაშრომის, ფინალისთვის დრო მოეცა, რადგან დიდი ცოდვაა, დაწერო ის, რაშიც თავად არ ხარ ღრმად დარწმუნებული, თუნდაც საქმე ისეთ სისხლიან ტირანებს ეხებოდეს, როგორებიც სტალინი და ორჯონიკიძე იყვნენ. სად უნდა მეპოვა სტალინის მამხილებელი დოკუმენტი? კომუნისტები ხომ ყველაფერს გააქრობდნენ. პირველი, რაც თავში მომივიდა, შემდეგი იყო: კრიმინალისტიკაში ცნობილია, რომ მკვლელი ადრე თუ გვიან მიდის იქ, სადაც მკვლელობა ჩაიდინა. ანუ საბუთების ძებნა დავიწყე თვით ბოლშევიკებთან, მკვლელებთან, რაიმე სწორედ მათ დასცდებოდათ სადმე. 5-6 თვე ეს ფილოლოგი კაცი ბოლშევიკების ისტორიების კვლევაში გადავეშვი. პარტისტორია თავის დროზე ჭირივით რომ მძულდა, ახლა ისიც კი ვიცი, 1905-1906-1907 წლებში, უფრო ადრე თუ უფრო გვიან, რომელი ბოლშევიკი რომელი პარტიული ორგანოს წევრი ან რომელი ყრილობის დელეგატი იყო, ვინ რა ჩაიდინა, ვინ ვისი კლასელი და მეგობარი იყო და ა.შ. აი, ამ ძიებისას, ანუ როცა სტალინის კვალს ვეძებდი, ერთ უნიკალურ დოკუმენტს წავაწყდი. ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოსცეს ჟურნალი "რევოლუციის მატიანე", სადაც თავიანთ "გმირულ" თავგადასავლებს ჰყვებოდნენ. დიახ, მათსავე ჟურნალში წავაწყდი დოკუმენტს, სადაც მაღალი თანამდებობის პირი, სტალინის მეგობარი რაჟდენ კალაძე ეკამათება ფილიპე მახარაძის მეგობარს სევასტი თალაკვაძეს, რომელიც ასევე მაღალი თანამდებობის პირი იყო იმ დროისათვის, ანუ 20-იანი წლებისთვის. კამათობენ ბოლშევიკების პარტიის ისტორიის შესახებ და იქ, სხვათა შორის, ასეთი რამეც წერია - ის ბეჭედდარტყმული პარტიული დადგენილება, რომლითაც ილია მოკლეს და რომელიც ტყის ძმების მეთაურს ილიას მოკვლას ავალებდა, ყალბი იყო, ანუ ბოლშევიკების სახელით იყო შედგენილი, თორემ ბოლშევიკებს არ უქნიათ ეს საქმეო.

არაფერს ვიტყვი იმ ემოციაზე, რაც ამ დოკუმენტის ნახვისას გამიჩნდა. ხელში მეჭირა 1905 წლის რევოლუციის ორი აქტიური მონაწილის და სტალინ-მახარაძის მეგობრების წერილობითი საბუთი, სადაც ისინი არსებითად აღიარებენ, რომ **არსებობდა პარტიული დადგენილება, რომლითაც გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და მონაწილის დავალების შესრულება მიანდეს ტყის ძმების მეთაურს.**

**- კი, მაგრამ, თუ ბოლშევიკები ყოველგვარ კვალს აქრობდნენ, ასეთი რამ როგორ დაწერეს?**

- მარტივად, 20-იან წლებში ისინი ძალაუფლების ეიფორიაში არიან. ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი იდეოლოგია, რისი მოყოლა შეიძლება და რისი არა. იმას, რასაც 20-იანი წლების პრესაში ნახავთ, 20-იანი წლების ბოლოს ველარ იხილავთ. ერთსა და იმავე წიგნებში რაც 20-იან წლებში წერია, იგივე 30-იანი წლებიდან ამოღებულია. 20-იან წლებში ტერორისტები ტრაბახობენ ვინ მოკლეს, სად, როგორ და როდის, ქვეყნდება წერილები სათაურით "ტერორისტის ჩანაწერები". ტერორისტი აქ კაი კაცს ნიშნავს. 30-იან წლებში ასეთი რამ აეკრძალათ და ის ხალხი, როგორც ძველი, ბნელი ამბების მოწმენი სტალინმა საერთოდ დახვრიტა. მამალი ბოლშევიკების გამოცემებიც აიკრძალა და მათით სარგებლობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წასვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ რაჟდენი თავს იზღვევს: ის დადგენილება ყალბი იყოო, ანუ ბოლშევიკებს შეუცურესო. ეს მისი აზრია, მაგრამ ხომ აღიარა. რომ ასეთი დადგენილება არსებობდა.

**- და ამ დოკუმენტებმა სად მიგიყვანათ?**

- ამ დოკუმენტებმა, სტალინის კვალს რომ ვეძებდი, მიმიყვანა ილიკო იმერლიშვილთან. მოვიძიე, როგორი იყო მაშინ ბოლშევიკთა მიერ ჩადენილი ტერაქტების ანატომია. ერთი და იგივე ხელწერა. ადამიანებს უმრავლეს შემთხვევაში დადგენილებით კლავენ. ჩემს წიგნში ასეთი რამდენიმე დადგენილება გამოვაქვეყნე.

**- კი, მაგრამ, ტერაქტს დადგენილებით ვინ ახდენს?**

- ლოგიკური კითხვაა. ამაზე ერთი ისტორიკოსიც გამომედავა, მაგრამ მას უნდა სცოდნოდა, რომ ბოლშევიკები ტერორს სწორედაც წინასწარი დადგენილების შემდეგ ახდენდნენ. ტერორი, ლენინის განმარტებით, რევოლუციის გაგრძელება იყო, ამიტომ წითელი ტერორი მათ ლექსიკაში ჩვეულებრივ სამუშაო ტერმინს წარმოადგენდა.

ახლა სანახავი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ანუ "ტყის ძმების" მეთაურის სახელი და გვარი. იმ დროს დუშეთის მაზრაში რამდენიმე ტყის საძმო არსებობდა, მათ შორის ერთ-ერთის, მცხეთის ტყის საძმოს მეთაური იყო ილიკო იმერლიშვილი.

"იმერელისა" და იმერლიშვილის სემანტიკური მსგავსება ყურს ხვდება, ხომ? დავიწყე იმერლიშვილის ტერორისტული საქმიანობის შესწავლა და იმ დასკვნამდე მივედი, რომელიც უკვე ცნობილია.

ვინც ჩემს წიგნში ამ იმერლიშვილის ბიოგრაფიას გაადევნებს თვალს, მზა მასალაა მძაფრი დეტექტივისათვის.

**- ხსენებული ჰიპოთეზა იმერლიშვილის შესახებ 2008 წელს ისტორიკოს სიმაშვილსაც გამოუთქვამს.**

- ამის შესახებ ჩემი წიგნის გამოსვლის შემდეგ შევიტყე. ჩემი წიგნის ერთ-ერთ განხილვაზე ახალგაზრდა ისტორიკოსმა მითხრა. მე არც ბატონი თენგიზის და არც მისი წერილის არსებობა არ ვიცოდი. ვკითხე იმ ისტორიკოსს, სად არის მეთქი დაბეჭდილი, რადგან ეს წერილი ილიას შესახებ გამოცემულ არც ერთ ბიბლიოგრაფიაში არ იყო მითითებული. წყარო ვერც მან დამისახელა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბოლოს ვნახე ეს პუბლიკაციაც, რომელიც არათუ ჩემთვის, ისტორიკოსებისთვისაც არ ყოფილა ცნობილი. ბ-ნ თ. სიმაშვილის მეცნიერული კეთილსინდისიერება იმითაც გამოიხატა, რომ მან არაერთგზის დაწერა: ჩემი და ბატონი ნოდარის კვლევები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სრულიად განსხვავებულ წყაროებს ეყრდნობაო. უფრო მეტიც, მან ისიც პატიოსნად დააფიქსირა, რომ სწორედ ჩემმა წიგნმა მისცა სტიმული, გაეგრძელებინა კვლევა აღნიშნული მიმართულებით. ასე რომ, თუ ორი მკვლევარი ერთ დასკვნამდე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივედით, ეს კიდევ უფრო ნათელს ხდის იმას, რომ ვინც იმ ეპოქის ქერქიდან ამოვიდოდა, სწორ დასკვნასაც მიიღებდა.

**- როგორ წარიმართა თვით იმერლიშვილის ბედი?**

- საქმე ის გახლავთ, რომ იმერლიშვილი სამჯერ გამოცხადდა მოკლულად. ეს ვრცელი თემაა და წიგნში დაწვრილებით მაქვს აღწერილი. რეალურად კი ის 1914 წელს მოკლეს - ტყეში, ღამით, ძილში, თავისივე ძმაკაცმა ყაჩაღმა ყუმბარა აუფეთქა და ნაფლეთებად აქცია, ისე რომ, ცოლმა მხოლოდ ტანსაცმლით ამოიცნო. ეჭვი მაქვს, ის იმავე ძალამ მოკლა, ვინც ილიას მკვლელობა შეუკვეთა. რატომ? ილიას მკვლელთა წინააღმდეგ 1913-1914 წლებში ხელახლა ატყდა ბრძოლა (ილიას ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით), პრესაში ხელახლა დაიწყეს ბოლშევიკების მხილება. იმერლიშვილს, ილიას გარდა, უამრავი უბრალო ადამიანი თუ თანამდებობის პირი ჰყავდა მოკლული. ვფიქრობ, ის ბოლშევიკებმა მოიცილეს, ხოლო 20-იან წლებში გმირად გამოაცხადეს - ეს მათი წესი იყო.

**- მხოლოდ ის არგუმენტი, რომ იმერლიშვილი "ტყის ძმების" მეთაური იყო და ილია "ტყის ძმების" მეთაურმა მოკლა, ალბათ არ არის საკმარისი, რომ იმერლიშვილი, გვარის მსგავსების მიუხედავად, "იმერელთან" გავაიგივოთ.**

- რა თქმა უნდა. ეს არ არის საკმარისი, მაგრამ მე მოვიძიე მასალები (რომლებიც ჩემს წიგნში და შემდეგ ჟურნალ "ცისკარში" გამოქვეყნებულ ჩემს წერილებში აისახა), რომლებითაც დასტურდება, რომ იმერლიშვილი და ილიას სხვა მკვლელები - ფშავლიშვილი, ფეიქრიშვილი, ბერბიჭაშვილი, არათუ იცნობდნენ ერთმანეთს, ერთადაც ყაჩაღობდნენ და ხალხს ხოცავდნენ.

ჩემს წიგნში ასევე ნახავთ იმის უტყუარ საბუთებს, რომ იმერლიშვილი ბოლშევიკი იყო და ბოლშევიკთა ლიდერების დავალებებს ასრულებდა. დაბოლოს, რაც მთავარია, ის სტალინისგან დავალებული და მისი ბრძანებების შემსრულებელი პირი იყო.

ეს ყველაფერი მაინც ჰიპოთეზად დარჩებოდა, რომ არა ბატონ თენგიზ სიმაშვილის მიერ ამ დღეებში ცისკარში მოტანილი რამდენიმე დოკუმენტი, რომლებსაც "ცისკრის" მე-6 ნომერში ვაქვეყნებთ. **ამ დოკუმენტებში პირდაპირ წერია, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლა ილიკო იმერლიშვილმა. ასე რომ, ეს დღეიდან ვერსია კი არა, ფაქტია.**

წელს ილიას დაბადებიდან 175-ე, ხოლო გარდაცვალებიდან 105-ე წლისთავი სრულდება. ვფიქრობ, დადგა დრო, აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და წიწამურში მკვლელობის ადგილზე აღმართულ ობელისკზე წარწერა შეიცვალოს - ნაცვლად იმისა, აქ თვითმპყრობელობის აგენტებმა მოკლეს ილია ჭავჭავაძეო, დაიწეროს: აქ, რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ლიდერთა შეკვეთით, 1907 წლის 30 აგვისტოს მოკლეს საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე.

# ერთი უნიკალური ფოტოს გამო




**ილიას მკვლელის, ილიკო იმერლიშვილის ბანდა**
**პირველ რიგში მარცხნიდან მე-2 ზის ი. იმერლიშვილი**

ნოდარ გრიგალაშვილი

ამ ფოტოსურათის დედანი ერთი საუკუნის განმავლობაში მცხეთაში, ერთ-ერთ ოჯახში ინახებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა როგორც ძვირფასი რელიკვია, როგორც რევოლუციონერი წინაპრისა და მისი თანამებრძოლების ამსახველი და სამუდამოდ გაყინული კადრი.
"გმირი" რევოლუციონერის შთამომავლები ამ ფოტოთი, ბუნებრივია, ამაყობდნენ კიდეც, რადგან მათ იცოდნენ, რომ ოჯახში ჰქონდათ თავიანთი პაპის ღვიძლი ძმის ფოტო, იმ ძმისა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ყველაზე მოუხელთებელი და ყველაზე ძლიერი ყაჩაღ-რევოლუციონერი იყო. მართლაც, ამ ფოტოს ცენტრში პირველი რიგის შუაში ზის შეიარაღებული რაზმის, მცხეთის "ტყის საძმოს" მეთაური, 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე, სოსო ჯუღაშვილისა და იმჟამინდელი სხვა ბოლშევიკი ლიდერების მეგობარი და თანამზრახველი, 1921 წლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ოფიციალურად აღიარებული "გმირი".
ბუნებრივია, მთელი საუკუნის განმავლობაში ამ ოჯახის სამი თაობისთვის ასეთი გმირის ფოტო სიამაყის საგანი იქნებოდა. არადა, შთამომავლებმა არ იცოდნენ, რომ მათ ისტორიას შემოუნახეს არა მხოლოდ მათი ოჯახისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის მართლაც საინტერესო და უნიკალური ფოტოსურათი. ამ სურათის ცენტრში მჯდომი, ზემოთ დახასიათებული სუბიექტი გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, ილია ჭავჭავაძის უშუალო მკვლელთა ბანდის მეთაური, ისტორიას იდუმალი "იმერლის" სახელით შემორჩენილი ილიკო იმერლიშვილი.

**ამ ფოტოს დედნის აღმოჩენის ამბავი**

მკითხველს ალბათ ემახსოვრება, რომ ჩემი წიგნის "თანამდევი სულის" გამოსვლის შემდეგ დიდი ამბავი ატყდა ილიას მკვლელთა ბანდის მეთაურის ვინაობის შესახებ. დიდი ილიას ცხოვრებისა და მისი ვერაგული მკვლელობის პირველწყაროებზე დაკვირვებამ და ანალიზმა იმაში დამარწმუნა, რომ ბანდის მეთაური, ვინმე "იმერელი" იყო არა სერგო ორჯონიკიძე, როგორც ეს აქამდე ბევრს აღიარებულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, არამედ ტერორისტული საქმიანობით იმ დროისთვის სერგოზე უფრო ცნობილი და ვერაგი ბოლშევიკი, მცხეთელი ილიკო იმერლიშვილი. ჩემი არგუმენტები ბევრისთვის სრულიად დამაჯერებელი აღმოჩნდა, მაგრამ მკვლევართა ერთი ნაწილი, რომელმაც, რატომღაც, მიიჩნია, რომ საკუთარი შრომები წყალში ეყრებოდა, აღშფოთდა და ჩემს ორტომეულს - "თანამდევი სული" - თავს დაესხა. ის, რომ მე აბსოლუტურად სწორ გზაზე ვიდექი, "ცისკრის" უახლოეს ნომერში კიდევ ერთხელ დამტკიცდება ისტორიკოს თენგიზ სიმაშვილის მიერ არქივებში მიკვლეული ახალი მასალით.
თუ ცალკეულ მკვლევარებს არ ესიამოვნათ ჩემი კვლევის შედეგი და ერთ-ერთმა მათგანმა სატელევიზიო დებატებში გამომიწვია, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდნენ თვით ილიკო იმერლიშვილის შთამომავალნი.
ჩემსა და ბატონ გ. ყორანაშვილს შორის 2011 წლის გაზაფხულზე საზოგადოებრივ მაუწყებელზე გამართული ცნობილი სატელევიზიო დებატების შემდეგ შემეხმიანა დებატების წამყვანი, ჟურნალისტი ვახტანგ სანაია და მითხრა, რომ მას აღშფოთებულები დაუკავშირდნენ ილიკო იმერლიშვილის შთამომავლები. ბუნებრივია, იმ ხალხს ჩემდამი მტრული განწყობა გაუჩნდა. სწორედ ამ სატელეფონო ზარიდან შევიტყე, რომ "იმერლის" მეტსახელით ცნობილ ილიას მკვლელთა ბანდის მეთაურს მცხეთაში უახლოესი ნათესავები ჰყოლია. ბევრი არ მიფიქრია, მათი მოძებნა გადავწყვიტე - ინტუიციით ვგრძნობდი, რომ რაღაც ახალს გავიგებდი. გასაგები მიზეზით ჩემზედ აღშფოთებულ ოჯახს ჯიქურად ვერ მივადგებოდი. ჩემდა სასიხარულოდ, მათი მეზობელი აღმოჩნდა ჩემი მეგობარი და თანაკურსელი ზვიად ნოდია. ზვიადმა მათთან შეხვედრა მომიხერხა. ჩემ წინ სამი ქართველი მამაკაცი იჯდა. განათლებული, წესიერი ადამიანები ჩანდნენ. ჩემსა და მათ საუბარს ზვიად ნოდია და ივანე ამირხანაშვილი ესწრებოდნენ. საჭიროდ არ მივიჩნევ, აქ ის პერიპეტიები აღვწერო, რაც ჩვენს შეხვედრას ახლდა. ზოგადად დავწერ იმას, რომ ეს სამი კაცი დიდად შეგნებული ადამიანები აღმოჩნდნენ (ისინი იყვნენ არა უშუალოდ ილიკო იმერლიშვილის, არამედ ილიკოს ძმის შვილიშვილები. თვით ი. იმერლიშვილს ცოლ-შვილი ჰყავდა, მაგრამ მისი პირდაპირი შთამომავლების შესახებ ამ ხალხმა არაფერი იცოდა. ხანგრძლივი საუბრისა და ჩემი არგუმენტების მოსმენის შემდეგ გოგი (გიორგი) იმერლიშვილი წამოდგა და განაცხადა - ჩვენ არ ვიცით, ილიკომ მოკლა თუ არა ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ბებიაჩემისგან ხომ ვიცით, რომ ის საშინელი კაცი იყო, - ამას თავისიანებს მიმართავდა, - ხომ ვიცით ბებიისგან, რომ მან მღვდელს ენა მოაჭრაო. ასევე მოჰყვა ბებიისგან გადმოცემულ ერთ ამბავს, რომელიც საოცრად დაემთხვა ჩემი წიგნის ერთ ეპიზოდს, ჩემთვის იმდროინდელი არქივებიდან ცნობილს. გოგი იმერლიშვილმა ასევე აღნიშნა -ვთქვათ, ილია არ მოუკლავს, მაგრამ იმ ჩვენი ბაბუის ძმის სხვა ცოდვების გამოც რატომ უნდა ვზიდოთ ტვირთი ჩვენ და ჩვენმა შთამომავლებმაო? ადგა და ცოტნე იმერლიშვილთან ერთად გავიდა, ცოტა ხანში მობრუნდნენ და ოჯახში დაცული, საუკუნის ფოტოსურათის დედანი მომიტანეს - თუ რამეში გამოგადგება, წაიღე და შემდეგ დაგვიბრუნეო. დავხედე თუ არა, უმალ თვალში მეცა ძველი გაზეთებიდან ჩემთვის უკვე ნაცნობი სახე ყაჩაღ ილიკო იმერლიშვილისა, რომელიც თავის 12 ყაჩაღთან ერთად დათარეშობდა. ამ ფოტოზე ცოტა მეტნი არიან აღბეჭდილნი...
ვფიქრობ, იმ პერიოდის მკვლევარი ისტორიკოსები დაინტერესდებიან ამ ფოტოთი და, გარდა იმერლიშვილისა, შეძლებენ ფოტოზე წარმოდგენილი სხვა ყაჩაღების ვინაობის გაშიფვრას. ჩემი მხრიდან ერთს დავძენ: ეს ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, უფრო ზუსტად, 1908 წელს. რატომ ვვარაუდობ ასე?
პირველ რიგში, ილიკო იმერლიშვილის მარჯვნივ ზის ყაჩაღი, რომელიც ძალიან ჰგავს ილიას ერთ-ერთ მკვლელ პავლე ფშავლიშვილს, იმავე აფციაურს. ფშავლიშვილი ილიას მკვლელობამდე უკვე გაყაჩაღებული კი იყო, მაგრამ იმერლიშვილს ახლოს არ იცნობდა (ის საგურამოს ტყის საძმოს წევრი იყო და ლადო ფეიქრიშვილის ბანდაში შედიოდა). ფშავლიშვილი და იმერლიშვილი განუყრელ მეგობრებად იქცნენ მეტეხის ციხიდან გაქცევის შემდეგ (1908 წლის მაისი); ისინი ერთად ყაჩაღობენ 1908 წლის 17 დეკემბრამდე, როცა ტყეში ორმხრივი სროლისას ფშავლიშვილი მოკლეს. ამ ფოტოზე აღბეჭდილი უნდა იყოს ასევე ილიას ერთ-ერთი მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი. ცნობილია გიგლა ბერბიჭაშვილის მხოლოდ 1921 წლის შემდგომი დროის სურათები, მაგრამ გრძელი სახის, ცხვირის, ტუჩ-ნიკაპის, ყვრიმალების მოხაზულობით და წარბებით ახალგაზრდა ყაჩაღი, რომელიც მარცხნიდან მეორე დგას და ხელში თოფი უჭირავს, ძალიან ჰგავს ხნიერი ბერბიჭაშვილის ვიზუალს.
მკითხველმა აქამდე იცოდა, რომ ბერბიჭაშვილი ილიას მკვლელობის უმალ სპარსეთში გაიქცა, მაგრამ ეს მართალი არ არის. ბერბიჭაშვილი 1909 წელსაც, თ. სიმაშვილის კვლევით, საქართველოში იყო - მან მიიღო მონაწილეობა ი. იმერლიშვილთან ერთად ილიას მეგობრის, თავად ხიმშიაშვილის მკვლელობაში. როგორც ჩანს, მხოლოდ ამის შემდეგ გადაიხვეწა იგი სპარსეთს.
ამ მკვლელების ფოტოდან ამოცნობაზე, კარგი იქნება, თუ შესაბამისი სპეციფიკური პრაქტიკის მქონე სპეციალისტები იმსჯელებენ. ჩვენი ვარაუდი (ვიმეორებ, ეს მხოლოდ ვარაუდია განსჯისთვის და მტკიცებულობითი პრეტენზია არა აქვს) რომც არ გამართლდეს, ამ ფოტოს უნიკალურობა მაინც ძალაში რჩება, რადგან მასზედ აღბეჭდილია იდუმალი "იმერელი" თავისი ბანდით, ხოლო ვინმე "იმერელი" ნამდვილად ი. იმერლიშვილი იყო.

P.S. აქვე გთავაზობთ ხანდაზმული ბერბიჭაშვილისა და, სავარაუდოდ, ახალგაზრდა ბერბიჭაშვილის სურათებს შედარებისთვის.

# არაორიგინალური ზაფხული

ია ვეკუა



ყველა კინომანიაკმა იცის, რომ ბლოკბასტერების გაქირავებაში გამოშვების საუკეთესო პერიოდი საშობაო არდადეგებისას და ზაფხულშია. ამ დროს პოტენციური მაყურებლები ისვენებენ, შესაბამისად, მეტი დრო აქვთ კინოში სასიარულოდ და პოპკორნთან ერთად, ახალი ფილმების დასაგემოვნებლად. ეს კარგად მოეხსენებათ აღნიშნული ტიპის ფილმების ავტორებსაც, ამიტომ საშობაო და ზაფხულის აფიშაში ადგილის დასაკავებლად რბოლა რამდენიმე თვით ადრე იწყება. ქვემოთ იმ ფილმებს შეგახსენებთ, რომლებსაც ზაფხულის განმავლობაში მაყურებელი განსაკუთრებით ელის და, სავარაუდოდ, ჩვენს გაქირავებაშიც გამოვა. და აქვე ერთი შენიშვნა: პრაქტიკულად, ყველა ბლოკბასტერი არაორიგინალურია ანუ რიმეიკი, სიკველი ან რებუთია, რაც ამ ტიპის კინოში არსებულ იდეების ნაკლებობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

ამ დროსთვის უკვე შედგა რიდლი სკოტის "პრომეთეს" (ამ ფილმის ჩვენება ჩვენთან, წესით, 28 ივნისიდან უნდა დაიწყოს), მესამე "მადაგასკარის", "ფიფქია და მონადირეს", "აბრაამ ლინკოლნი: ვამპირებზე მონადირეს" და ანიმაციური "მამაცის" პრემიერები, წინ კი არანაკლებ საინტერესო აფიშა გველის. ზაფხულის აფიშის ივლისის განყოფილებას "საოცარი ადამიანი ობობა" გახსნის - "მარველის" ცნობილი კომიქსის გმირის ახალი, უფრო კი განახლებული თავგადასავალი, რომლის ავტორებიც ყველა საშუალებას იყენებენ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ფილმს არაფერი აქვს საერთო სემი რეიმის 2002 წელს დაწყებულ ტრილოგიასთან ტობი მაგუაირითა და კირსტენ დანსტით მთავარ როლებში. მარკ უების ფილმი ფრენჩაიზის ერთგვარი გადატვირთვაა, რაც, ერთი მხრივ, მისასალმებელი და საინტერესოა, მაგრამ, მეორე მხრივ, ცოტა გაუგებარია, რისთვის გახდა საჭირო მისი გადაღება. თუმცა რამდენი რეჟისორიცაა, ერთი ისტორიის იმდენი ვერსია შეიძლება არსებობდეს, ამიტომ წინასწარი დასკვნები ცოტა უადგილოა. ახალი "ადამიანი ობობას" სიუჟეტი თავად ისტორიის კლასიკურ ხაზს მიუყვება, თუმცა სცენარის ავტორებმა მაინც შეიტანეს საგრძნობი ცვლილებები. მაგალითად, ის ფაქტი, რომ პიტერ პარკერის ტრფობის ობიექტს მერი ჯეინის ნაცვლად გვენ სტეისი ჰქვია, უკვე მეტყველებს, რომ გარკვეულ სურპრიზებს უნდა ველოდოთ. ასევე საინტერესოა, როგორი იქნება ენდრიუ გარფილდი ადამიანი ობობას როლში და რამდენად შეძლებს, თავი მოაწონოს იმ მაყურებელს, რომელიც ტობი მაგუაირით არცთუ კმაყოფილი იყო.

20 ივლისი პარასკევია, თუმცა ზემოთ ნახსენებ კინომანიაკებს რომ ჰკითხოთ, ეს თარიღი დასვენების დღედ უნდა გამოაცხადონ, რადგან ეკრანებზე წლის ყველაზე დიდი მოლოდინის ობიექტი - კრისტოფერ ნოლანის "ბნელი რაინის აღზევება" გამოდის. ამ ფილმით ნოლანი ბეტმენის თემაზე მუშაობას ასრულებს და საეჭვოა, მომავალში ვინმემ გაბედოს მისი ხელახლა ეკრანიზება. "აღზევებაში" ტიმ ბარტონის დროინდელი პერსონაჟი ქალი კატა ბრუნდება, ხოლო ერთ-ერთი ვილიანი ბეინი პირველად გამოჩნდება (ამ პერსონაჟმა "ბეტმენი და რობინში" მხოლოდ გაიელვა, ამიტომ სათვალავში ჩასაგდებად არ ღირს). ვინც DC Comics-ის სამყაროს კარგად იცნობს, ალბათ ისიც მოეხსენება, ვინ გახლავთ ბეინი - რთული ბავშვი, რომელიც მოგვიანებით სუპერვილიანად ჩამოყალიბდა და ბეტმენის დაუძინებელ მტრად იქცა. მისი როლის შესრულება ნოლანმა ბრიტანელ ტომ ჰარდის ანდო, საყველპურო ნიჭის მქონე მსახიობს, რომელსაც აქვს შანსი, კარიერის საუკეთესო პერსონაჟი შექმნას. ფილმის მეორე ვილიანი ქალი კატაა, ენ ჰეტეუეის გმირი, რომელსაც მხოლოდ ორი რამ ევალება - ბეტმენი აცდუნოს, შემდეგ კი მის განადგურებას შეეცადოს. რამდენად გამოუვა ეს უკანასკნელი ბეინთან შეწყვილებულ ქალ კატას, მსოფლიო 20 ივლისიდან ნახავს, ჩვენ კი ალბათ მოგვიანებით, თუმცა ქართულ კინოთეატრებს მსოფლიო პრემიერის გამოცდილებაც აქვთ და იქნებ ამჯერადაც არ გაგვაწბილონ.

კიდევ ერთი ცნობილი ფრენჩაიზის გამოცოცხლების მცდელობაა "ბორნის მემკვიდრეობა" - ტონი გილროის ფილმი ჯერემი რენერით მთავარ როლში, თუმცა ბორნი ამჯერად ისტორიის მეორეხარისხოვან გმირად რჩება, რადგან წინა პლანზე რენერის პერსონაჟი არონ კროსი გამოდის, მისი ამბავი კი 2007 წელს გამოსული "ბორნის ულტიმატუმის" პარალელურად ვითარდება. ეს უკვე საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ერთ სცენაში რენერის კროსი დეიმონის ბორნსაც ხვდება. ამ ფილმის გამოსვლა 3 აგვისტოს იგეგმება ისევე, როგორც ფილმის "ყველაფრის გახსენება" პრემიერაც. ეს სახელწოდება უთუოდ ეცნობა იმ მაყურებელს, რომელმაც ამერიკული კინო ვიდეომაგნიტოფონების ხანაში გაიცნო და არნოლდ შვარცნეგერის შემოქმედებითაც იყო გატაცებული - ლენ ვაისმენის ნამუშევარი სწორედ პოლ ვერჰოვენის 1990 წლის ფილმის რიმეიკი გახლავთ, მთავარ როლს კი კოლინ ფარელი ასრულებს.

და ბოლოს, 17 აგვისტოს სილვესტერ სტალონე და კომპანია "დაუმორჩილებლების" მეორე ნაწილს წარმოგიდგენთ, რომელშიც პირველზე მეტი ექშენი, ხმაური, ცეცხლი და სისხლია. ჟანრის მოყვარულებს გირჩევთ, ეს ფილმი არ გამოტოვოთ, რადგან სტალონეს, შვარცნეგერის, სტეტჰემის, ლის, უილისის, ლუნდგრენისა და ვან დამის გვერდით სამყაროს გადარჩენას, ყველა ცუდი ადამიანის გაჟუჟვას და სამართლიანობის აღდგენას თვით ჩაკ ნორისი შეეცდება...

# ალმაშენებლის განახლებული ანდერძი

ბელა ჩეკურიშვილი

ბოლო წლებში მიმდინარე რესტავრაციების შედეგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი აღარ არის "მკვდარი საბუთების" საცავი, რომელთა შესახებ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ "შავ დღეშია". სწორედ ამგვარად წარმოგვიდგენდნენ არქივის მესვეურები მის მდგომარეობას ჯერ კიდევ 6-7 წლის წინ.

როგორც შენობისა და საცავების, ასევე მასალების განახლების შედეგია ის, რომ არქივში დაცული დოკუმენტები, წერილობითი საბუთები, ფონო, ფოტო თუ კინომასალა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია სტუდენტების, მოსწავლეებისა და თუ სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართათვის.

ამჟამად ეროვნული არქივის სარესტავრაციო ლაბორატორიაში რამდენიმე დოკუმენტის რესტავრაცია მიმდინარეობს, რომელიც საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაშია დაცული. მათ შორისაა "ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო მღვიმის მონასტრისადმი", რომელიც 1123 წლით თარიღდება. საბუთის მიხედვით, მეფეს შიო მღვიმისათვის შეუწირავს ქართლის რამდენიმე სოფლის შემოსავალი და საეკლესიო ნივთები.

როგორც არქივის ლაბორატორიიდან თამილა აფაქიძემ აგვიხსნა, ძველი საბუთები ორი სახის მატარებლებზეა - ეტრატზე, რომელიც გაცილებით გამძლეა, თუმცა დაზიანების შემთხვევაში ძნელად აღსადგენი, და ქაღალდზე, რომელიც ორი სახისაა. ეტრატი წლებს კარგად უძლებს, მაგრამ საუკუნეების მანძილზე შეიძლება ფაქტურა შეიცვალოს. ბევრი მათგანი არქივში მოხვედრამდეა დაზიანებული, რაც ტექსტის წაშლის საფრთხეს ქმნის. ყველა დოკუმენტს, რომელიც არქივშია დაცული, მუდმივად უტარდება რევიზია, იმის შესამოწმებლად, ხომ არ სჭირდება ჩარევა, ვინაიდან ეს სპეციფიკური მასალებია - უმეტესობა საუკუნეზე მეტისაა. საცავში მუდმივად საჭიროა დეზინფექცია და ატმოსფეროს შემოწმება, რათა არ მოხდეს ბაქტერიების გავრცელება.

ალმაშენებლის ანდერძი ეტრატზეა შესრულებული. 1911 წელს სარგის კაკაბაძემ, სხვა დოკუმენტებთან ერთად, იგი კალკაზე გადაიტანა სამეცნიერო შესწავლისათვის. მე-20 საუკუნის ოციან წლებში, როცა საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის გამო არქივი ჩრდილო კავკასიაში გაიხიზნა, მათ შორის ალმაშენებლის ეს ანდერძიც იყო. ბედის დაცინვით, ქართული საგანძური ჩრდილო კავკასიაში ხანძარს ემსხვერპლა, ბევრი ექსპონატი განადგურდა, ხოლო გადარჩენილთა შორის კი ალმაშენებლის ეს კონკრეტული ანდერძიცაა, თუმცა კი, არასრულად. სრულ წარმოდგენას მასზე, ისევე როგორც ბევრ სხვა დოკუმენტზე, სწორედ სარგის კაკაბაძის მიერ კალკაზე შესრულებული ასლები გვაძლევს, რომელთაც დღეს უკვე ორიგინალის მნიშვნელობა აქვთ.

ალმაშენებლის ანდერძისთვის რესტავრაცია 40-იან წლებში ჩაუტარებიათ და იგი ქაღალდზე დაუკერებიათ. მას შემდეგ რესტავრაციის მეთოდიკასა და ტექნოლოგიაში ბევრი რამ შეიცვალა. შესაძლებელია ამ კიდეებშემომწვარი ეტრატის დაზიანებული ნაწილების შევსება და ახალ ფუძეზე დასმა, რომელიც ასევე თხელ ეტრატს წარმოადგენს და თავისი ფაქტურით დავითისეულ დოკუმენტს შეესაბამება. თანამედროვე ეტრატი ვატიკანიდანაა ჩამოტანილი და იგი არქივის ლაბორატორიას ხელოვნებათმცოდნე-რესტავრატორმა ლია სიხარულიძემ აჩუქა.

არქივის ლაბორატორიას სარესტავრაციოდ გადაეცა კიდევ ორი საბუთი: 1787 წლის 31 დეკემბერს რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის მიერ გაცემული წყალობის წიგნი თავად სიმონ ხერხეულიძისადმი, რომელსაც იმპერატორმა პოლკოვნიკის წოდება უწყალობა 1752 წელს პრუსიისა და თურქეთის წინააღმდეგ ომში გამოჩენილი გმირობისათვის. საბუთი რუსულ ენაზეა და ახლავს ეკატერინეს ხელრთვა; მეორე საბუთი კი რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის მიერ 1839 წელსაა გაცემული. იგი წარმოადგენს დოკუმენტს ზაქარია სიმონის ძე ხერხეულიძისადმი, რომლითაც იმპერატორმა თავადობის დამადასტურებელი მოწმობა განუახლა. საბუთს ნიკოლოზ I-ის ხელრთვა ახლავს.

"ჩვენ ძალიან ბევრი უცხოენოვანი საბუთი გვაქვს, რითიც ძალიან ვამაყობთ, ეს მასალა ბევრი უცხოელი მკვლევარის ინტერესს იწვევს, რომლებიც ჩვენს არქივში სამუშაოდ ჩამოდიან, - ამბობს ეროვნული არქივის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი თეა ქიმერიძე, - რუსეთის იმპერატორთა ხელმოწერილი ეს საბუთები ინახებოდა თავადაზნაურთა საკრებულოს ფონდის მე-19 საუკუნის მასალებში და ჩაკერებული იყო როგორც მტკიცებულება. რამდენიმე წლის წინ დავიწყეთ მე-19 საუკუნის მასალების გადასინჯვა, სადაც ბევრი უფრო ძველი დოკუმენტი აღმოჩნდა. ისინი დანართებს წარმოადგენნენ და ჩაკეცილი იყო. დაცვის მიზნით გადაწყდა მათი ამოღება, რესტავრაცია და ცალკე საბუთად შენახვა, სადაც დაზიანების საფრთხე აღარ ემუქრებათ. ძველ საბუთთა განყოფილებას აქედან ბევრი დოკუმენტი შეემატა."

გარდა ამისა, მიმდინარეობს ძველი ქართული საბუთების დედნების კოლექციის 81 დოკუმენტის რესტავრაცია. საბუთები მოიცავს XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასალას - მეფეთა წყალობის, ნასყიდობის, განაჩენის, ვალის წიგნებს, აგრეთვე, ოქმებსა და წერილებს - როგორც საქმიანს, ისე პირადს. ყველა ეს საბუთები შესრულებულია ქაღალდზე. მათ შორის არის: 1750 წლით დათარიღებული, თეიმურაზ II-ის მიერ გაცემული ოქმი, ფავლენიშვილისათვის ჩამორთმეული მამულის დაბრუნების შესახებ. 1728 წელს მაჰმად ფაშას მიერ გაცემული წყალობის წიგნი ზაალ ჯანდიერიშვილისადმი ერწოს მოურავობის ბოძების შესახებ.

1791 წლით თარიღდება ერეკლე II-ის მიერ გაცემული ოქმი ფარსადან მაჩაბლისადმი. 1804 წლისაა მოკითხვის წერილი ეფრემისა ქაიხოსრო ჩაჩიკაშვილისადმი. 1797 წლის მიწის ნასყიდობის წიგნი სვიანიძისა ტეტია მამესწარაშვილისადმი, 1798 წლის ყმა-მამულის წყალობის წიგნი გიორგი II-ისა ელიზბარ მაჩაბლისადმი და სხვ.

გარდა რესტავრაციისა, საქართველოს ეროვნული არქივი მიზნად ისახავს, არქივს საგანმანათლებლო სივრცის ფუნქციაც შესძინოს, სადაც მოსწავლეებსა და სტუდენტებს შეეძლებათ, საკუთარი თვალით ნახონ და მოისმინონ ისტორიული ხელნაწერი, ფოტო თუ ფონომასალა. ამისათვის ეროვნულ არქივში შემუშავებულია პროგრამა სასკოლო ტურებისა და ლექციებისათვის.



# პრეზიდენტ მურსის პირველი მიმართვა ხალხისადმი

სალომე ჯანიაშვილი



როგორც ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, არჩევნების მეორე ტურში ხმების 51,7 პროცენტი 60 წლის მუჰამედ მურსიმ მიიღო, ხოლო მისმა მოწინააღმდეგემ აჰმედ შაფიკმა კი - 48,3 პროცენტი. სავარაუდოდ, ახლად არჩეული პრეზიდენტი ფიცს 30 ივნისს დადებს. მისმა კონკურენტმა აჰმედ შაფიკმა თავისი დამარცხება აღიარა და მურსის გამარჯვება მიულოცა.

კითხვები ჩნდება იმის თაობაზე, თუ რომელ პოლიტიკურ სფეროებზე გავრცელდება მურსის ძალაუფლება, რადგან ცოტა ხნით ადრე ეგვიპტის სამხედრო საბჭომ ეგვიპტის პრეზიდენტის უფლებამოსილებები საკმაოდ შეზღუდა და, ამასთან ერთად, დაშალა პარლამენტი (ამის შესახებაც უკვე წერდა «24 საათი»).

არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან რამდენიმე საათში მურსიმ ქვეყნის მოსახლეობას სიტყვით მიმართა. მან პირობა დადო, რომ ყველა ეგვიპტელის პრეზიდენტი იქნება და დაიცავს მათ უფლებებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. «მე მოგიწოდებთ თქვენ, დიდო ეგვიპტელო ერო, გავაძლიეროთ ჩვენი ეროვნული ერთიანობა!" - განაცხადა მურსიმ და დასძინა, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი ეგვიპტისთვის რთულ პერიოდში. მისი განცხადებით, ეგვიპტე დაბალანსებულ ურთიერთობებს დაამყარებს ყველა სახელმწიფოსთან, არ ჩაერევა სხვა ქვეყნების საქმეებში და ასევე, არ დაუშვებს ეგვიპტის სუვერენიტეტის დარღვევას.

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სახალხო აჯანყების დროს დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახის წევრებს, რომლებიც მუბარაქის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. "მე ახლა აქ არ ვიდგებოდი, რომ არა ის სისხლი, რომელიც რევოლუციის დროს დაიღვარა. მათ გაგვიხსნეს გზა გამარჯვებისკენ,» - აღნიშნა მურსიმ. მან პირობა დადო, რომ დაიწყებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მისი სიტყვებით, ეგვიპტეს აქვს დიდი რესურსი, რომელიც, წინა წლებისგან განსხვავებით, ყველა ეგვიპტელს მოემსახურება. «მე მოვუწოდებ ყველას, მონაწილეობა მიიღოს აღორძინების პროექტში. ჩვენ ყველამ, მუსულმანებმა და ქრისტიანებმა ქვეყანა უნდა აღვადგინოთ," - განაცხადა პრეზიდენტმა.

არჩეულმა პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ეგვიპტე დაიცავს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას და ის მოწოდებულია მშვიდობისკენ.

გუშინვე გავრცელდა ცნობა, რომ პრეზიდენტი მთავრობის ფორმირებას უკვე შეუდგა.

სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებმა და წარმომადგენლებმა (ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციიდან - «ჰამასამდე») ახლად არჩეულ პორეზიდენტს გამარჯვება უკვე მიულოცეს. პრეზიდენტს მილოცვა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმაც გაუგზავნა. არჩევნებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო ხელშეკრულება უცვლელი დარჩება. (ეს, ფაქტობრივად, დაადასტურა მურსიმაც თავის გამოსვლაში). აშშ-მ ეგვიპტის არჩევნები შეაფასა, როგორც დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯი. თეთრი სახლის პრესსპიკერმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ აშშ ითანამშრომლებს მუჰამედ მურსისთან და ასევე დასძინა, რომ ეგვიპტის ახალმა მთავრობამ უნდა გააგრძელოს პოლიტიკა, რომელმაც ეგვიპტე ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ქვეყნად ჩამოაყალიბა. ახალ პრეზიდენტს გამარჯვება რუსეთის, საფრანგეთისა და ირანის პრეზიდენტებმაც მიულოცეს. თუმცა ახლო აღმოსავლეთის ბევრი სახელმწიფოს კომენტარი საკმაოდ თავშეკავებული იყო, გუშინდელი დღის ბოლომდე არ ჰქონდა კომენტარი გაკეთებული საუდის არაბეთს.

პრეზიდენტად მუჰამედ მურსის არჩევას არ მოუხსნია დაძაბულობა ქვეყანაში, რადგან უმაღლესი სამხედრო საბჭო ჯერ კიდევ დიდ ძალაუფლებას ფლობს, პრეზიდენტის უფლებები კი მის მიერ საკმაოდ შეზღუდულია. მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად მიაღწევს ახალი ხელისუფლება კონსენსუსს სამხედრო საბჭოსთან ურთიერთობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში მდგომარეობა უფრო მეტად დაიძაბება.

# თურქეთი-სირია: სკანდალური „ფანტომი"

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ შეშფოთებულნი ვართ მომხდარით და ამ ინციდენტისას დაკარგული ორი პილოტის ბედით. ახლა ჩვენი ყურადღება თურქეთისკენაა მიმართული, რომ რეაქცია შეძლებისგვარად თავშეკავებული იყოს"**, - განაცხადა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების კომისარმა კეტრინ ეშტონმა. ჟურნალისტებთან კომენტარი არც დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა დაიზარეს. **"ვგმობ სირიის მიერ თურქული თვითმფრინავის ჩამოგდებას. ამაზე უკვე ვიმსჯელეთ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან. იცით, რომ ამ საკითხზე ჩვენ ნატო-ს ფარგლებში კონსულტაციებს გავმართავთ. ვფიქრობ, სირიის კოლაფსის საფრთხის წინაშე ვართ. ამიტომაც ლუქსემბურგის ამ შეხვედრაზე ჩვენ ასადის რეჟიმზე ზეწოლას დამატებითი სანქციებით ვაძლიერებთ"**, - აღნიშნა დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა უილიამ ჰეიგმა. თავის მხრივ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჩამოგდებული თვითმფრინავი იყო არა საბრძოლო და ამავდროულად სასწავლო ფრენას ახორციელებდა, რომლის დროსაც სირიის მხარემ ის გაუფრთხილებლად ჩამოაგდო. გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ოფიციალური ანკარას რეაქცია ინციდენტზე თავშეკავებული აღმოჩნდა. **"მოვუწოდებთ მხარეებს ყველაფერი მშვიდად და გააზრებულად მოაგვარონ"**, -განაცხადა გვიდო ვესტერველემ.

სირიის მიერ თურქული თვითმფრინავის ჩამოგდება რომ ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის საზღვრებსაც გასცდა ის ფაქტიც ადასტურებს, რომ გამოხმაურება მას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდანაც ჰქონდა. სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ოფიციალური დამასკოს მოქმედებას სამარცხვინო და მიუღებელი უწოდა. **"ეს სირიის ხელისუფლების მხრიდან საერთაშორისო ნორმების დარღვევის, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის, მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი ცივსისხლიანი დამოკიდებულების გამოვლინებაა"**, -განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა წერილობით გავრცელებულ განცხადებაში. ჰილარი კლინტონის თქმით, ოფიციალური ვაშინგტონი თურქეთის ოფიციალურ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობას გააგრძელებს ინციდენტის გამოსაძიებლად და ანკარას პასუხის განასაზღვრავად უშიშროების საბჭოსთან ერთად. მომხდარი ფაქტი თურქეთში ორი დღის დაგვიანებით უკვე აგრესიად შეაფასეს, მიუხედავად დამასკოს მტკიცებისა, რომ ეს უბრალოდ საჰაერო სივრცის დარღვევაზე რეაგირება იყო და როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეტ დავითოღლუმ განაცხადა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს წესდების მეოთე მუხლის გათვალისწინებით მიმართა. აღნიშნული მუხლის მიხედვით, პარტნიორები საგანგებო კონსულტაციებს იმ შემთხვევაში მართავენ თუ რომელიმე მათგანის ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა ან უსაფრთხოება ილახება. დავითოღლუს განცხადებამდე კი პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა სიმშვიდე შეინარჩუნედ და აღნიშნეს, რომ დაელოდებოდნენ გამოძიების დასკვნებს, აგრეთვე თვითმფრინავის ჩამოგდების დეტალებს. საერთაშორისო საჰაერო სივრცეში ჩამოგდებულ "ეფ-4 ფანტომზე" ოფიციალური ანკარას თავშეკავებულმა და რაციონალურმა პოზიციამ დიდწილად განაპირობა ის ფაქტი, რომ ისედაც საკმაოდ დაძაბულ ვითარებას კონფლიქტის ესკალაცია არ მოყვა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, უკვე ის ფაქტია შემაშფოთებელი, რომ თურქული მხარის გადაცდომის მიუხედავად, სირიელებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე იმოქმედეს. **"ჩამოგდებული თვითმფრინავი არ იყო საბრძოლო. იგი საწვრთნელ ფრენას ახორციელებდა. მის ბორტზე იარაღიც კი არ იყო"**, - აღნიშნა აჰმედ დავითოღლუმ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ოფიციალური ანკარას მოთხოვნის საფუძველზე მომხდარი ინციდენტის განხილვას დღეს შეუდგება.




# გადატრიალება იმპიჩმენტის ფორმით

ივა შილაკაძე

**პარაგვაის კონგრესის ზედა პალატამ გასულ პარასკევს პრეზიდენტ ფერნანდო ლუგოს იმპიჩმენტს ხმა მისცა და მას თანამდებობის დატოვება აიძულა. ეს გადაწყვეტილება იმდენად ელვისებურად განხორციელდა და იმდენი კითხვის ნიშანი დატოვა, რომ პარაგვაი შეიძლება, საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა შესაბამისი ნაბიჯები უკვე გადადგეს. მსოფლიო თანამეგობრობის სხვა მსხვილი მოთამაშეები ჯერჯერობით თავშეკავებულ განცხადებებს აკეთებენ, თუმცა კანონისა და დემოკრატიის დაცვის აუცილებლობას აღნიშნავენ.**



ქვეყნის პარლამენტში იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების მიზეზი პროვინცია კანინდეიუში 15 ივნისს მომხდარი ინციდენტი გახდა. დაახლოებით, 300 პოლიციელი ცდილობდა უქონელი გლეხების გამოყრას ძალით დაკავებული მიწებიდან, რომელიც იურიდიულად მდიდარი პარაგვაელი ბიზნესმენის საკუთრებაა. ამასთან, ბიზნესმენი პრეზიდენტ ფერნანდო ლუგოს პოლიტიკური ოპონენტიც არის. პოლიციის და გლეხების დაპირისპირება შეტაკებაში გადაიზარდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა - დაიღუპა 7 პოლიციელი და 10 მოქალაქე. არიან დაშავებულებიც. ინციდენტის შემდეგ პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა მინისტრი და პოლიციის უფროსი გადააყენა, თუმცა ამან ლუგო იმპიჩმენტისგან ვერ იხსნა. კონგრესის ორივე პალატაში იმპიჩმენტის პროცედურა ხუთშაბათს დაიწყო. პარასკევს ამ გადაწყვეტილებას ზედა პალატაში მხარი დაუჭირა 39-მა სენატორმა, წინააღმდეგი იყო 4. ფერნანდო ლუგოს გადაყენების ოფიციალურ მიზეზად საზოგადოებაში ჰარმონიის შენარჩუნების უუნარობა და სახელმწიფო მეთაურის მოვალეობების არასათანადო შესრულება დასახელდა.

ფერნანდო ლუგო თავიდან აცხადებდა, რომ ეს იმპიჩმენტი უკანონოა და არ დაემორჩილება. აწ უკვე გადაყენებული პრეზიდენტი კონგრესის გადაწყვეტილების უმაღლეს სასამართლოში გასაჩივრებას აპირებდა, თუმცა შემდეგ ბრძოლა შეწყვიტა - ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. იმპიჩმენტის გამოცხადებას პრეზიდენტის მომხრეების უკმაყოფილება მოჰყვა. ქუჩაში, დაახლოებით, 5 ათასი კაცი გამოვიდა. ცხენოსან პოლიციას მათი ძალით დაშლა მოუწია. სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელი გადააყენეს და ტელევიზიას გადაყენებული პრეზიდენტის მხარდამჭერი აქციების გაშუქება აუკრძალეს.

პრეზიდენტის მოვალეობებს ვიცე-პრეზიდენტი, 49 წლის ფედერიკო ფრანკო შეასრულებს. ვადამდელი არჩევნები არ ინიშნება, ფრანკო ამ პოსტზე 2013 წლამდე - ფერნანდო ლუგოს ვადის ოფიციალურად გასვლამდე დარჩება.

ამ გადაწყვეტილების გამო პარაგვაი შეიძლება, საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდეს. ფაქტობრივად ყველა მეზობელმა სახელმწიფომ მიიჩნია, რომ იმპიჩმენტი უკანონოა, პროცედურა დაცული არ ყოფილა და ფერნანდო ლუგოს ბრალდებებზე პასუხის გაცემის საშუალება არ მიეცა. არგენტინამ, ბრაზილიამ, ვენესუელამ, ურუგვაიმ, მექსიკამ, პერუმ, ჩილემ და სხვა სახელმწიფოებმა ასუნსიონიდან ელჩები გაიწვიეს, იმპიჩმენტს გადატრიალება უწოდეს და პარაგვაის სამხრეთამერიკული ერების კავშირიდან და სამხრეთამერიკული საერთო ბაზრიდან (სავაჭრო კავშირი) გაგდებით დაემუქრნენ. ამ საკითხებს ორივე ორგანიზაცია უახლოეს დღეებში განიხილავს. ვენესუელას პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ისიც განაცხადა, რომ პარაგვაის ნავთობის მიწოდებას შეუწყვეტს (ეს ნაბიჯი გასაკვირი არ არის. პარაგვაის ვიცე-პრეზიდენტი და ამჟამად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ფედერიკო ფრანკო სამხრეთამერიკულ სავაჭრო კავშირში ვენესუელას მიღების მთავარი მოწინააღმდეგე იყო). შედარებით თავშეკავებულია აშშ-ს და ესპანეთის შეფასებები.

ფედერიკო ფრანკოსა და პარაგვაის კონგრესის ხელმძღვანელობის მტკიცებით კი, პროცედურა არ დარღვეულა, ყველაფერი კანონის და დემოკრატიული პროცედურების მიხედვით გაკეთდა. ისინი აცხადებენ, რომ შეეცდებიან, დაარწმუნონ მეზობელი სახელმწიფოები თავის სიმართლეში. ლათინური ამერიკის ქვეყნები სიტუაციის ადგილზე შესასწავლად პარაგვაიში საგარეო საქმეთა მინისტრებს გაგზავნიან. მათ ამ გადაწყვეტილებას ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონიც მიესალმა, რომელმაც ასევე შეშფოთება გამოთქვა პარაგვაიში შექმნილი სიტუაციის გამო.

ფერნანდო ლუგო, ყოფილი კათოლიკური ეკლესიის ყოფილი ეპისკოპოსი, პარაგვაის პირველი მემარცხენე პრეზიდენტი იყო მემარჯვენე პარტია "კოლორადოს" 61-წლიანი დომინირების შემდეგ. მის იმპიჩმენტს, პარტია "კოლორადოს" გარდა, მხარი დაუჭირა ლიბერალურმა პარტიამაც, რომელიც ლუგოს სამთავრობო კოალიციაში შედიოდა. ლუგო აცხადებს, რომ პოლიტიკიდან ალბათ ვერ წავა და შეიძლება, პრეზიდენტის პოსტზე 2013 წელს ხელახლა იყაროს კენჭი. 2008 წელს არჩევის შემდეგ მისი რეიტინგი ძალიან მაღალი იყო, მაგრამ შემცირდა, როცა ცნობილი გახდა, რომ მას იმ პერიოდში გაჩენილი შვილები ჰყავს, როდესაც უცოლო იყო. ლუგო ღარიბი ფენების დამცველად მიიჩნევა.

არჩევნებამდე ის პირობას დებდა, რომ გლეხების 87 ათას ოჯახს მიწით დააკმაყოფილებდა. ეს პარაგვაისთვის სერიოზული პრობლემაა. გლეხების ნაწილის აზრით, მათთვის წართმეული მიწები მდიდარი ბიზნესმენების ხელში უკანონოდ მოხვდა გენერალ ალფრედო სტრესნერის სამხედრო მმართველობის დროს. მდიდარი ბიზნესმენების მცირერიცხოვანი ჯგუფი ქვეყნის მიწების 80 პროცენტს ფლობს.

შეიძლება, პარაგვაის კონგრესმა ფორმალურად პროცედურა არ დაარღვია, მაგრამ ეს იმპიჩმენტი შეთქმულებას და სახელმწიფო გადატრიალებას ნამდვილად ჰგავს. ცოტა გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელია პრეზიდენტისთვის წაყენებული ბრალდებები. მას სახელმწიფო ღალატი ან რამე მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია და ამაზე არც არის ლაპარაკი. არ არის დაზუსტებული, კონრეტულად რა როლი ითამაშა (და საერთოდ ითამაშა თუ არა) პრეზიდენტმა ლუგომ 15 ივნისის განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში. პოლიცია ხომ პრეზიდენტის ოპონენტი ბიზნესმენის ინტერესებს იცავდა, როდესაც გლეხებს უკანონოდ დაკავებული მიწებიდან აძევებდა. ბრალდება - "ქვეყნის არასათანადო მართვა", ბევრნაირად შეიძლება გავიგოთ, ეს მთლიანად პოლიტიკური გადაწყვეტილებების და გემოვნების სივრცეში დევს. ის შეიძლება, ქვეყნის პირველი პირის გადარჩევის და არა გადაყენების საფუძველი გამხდარიყო - მით უმეტეს, რომ არჩევნები გაისად უნდა ჩატარდეს. ფერნანდო ლუგო პოლიტიკური ინტრიგის მსხვერპლს ჰგავს და ამიტომ გასაკვირი არ არის მისი კოლეგების მწვავე რეაქცია ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან.

ბიზნესი

# ჯიმ ო'ნილი: „რუსეთისთვის უკეთესი იქნება, ნავთობის ფასის მკვეთრ დაცემას შეეგუოს"

თინა შავაძე



გასულ კვირას, ნავთობის ფასის დაცემის პარალელურად, რუსული ეროვნული ვალუტის რუბლის პოზიციები სავალუტო ბაზარზე მკვეთრად შესუსტდა. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში პირველად, Brent -ის ტიპის ნავთობის ფასი ბარელზე 90 დოლარზე ქვემოთ ჩამოვიდა, ხოლო ბარელზე WTI-ის ფასი 80 დოლარზე ნაკლები იყო.

ამასობაში Goldman Sachs Asset Management-მმართველმა საერთაშორისო ინვესტორმა და BRIC-ის ტერმინის ავტორმა ჯიმ ო'ნილმა აღიარა, რომ ინვესტორებს არ სჯერათ რუსეთის ეკონომიკის დივერსიფიკაციის და რუსებს ურჩევს, შეეგუონ იმ აზრს, რომ ნავთობის ფასი მკვეთრად დაეცემა.

რუსულ მედიასთან საუბარში ო'ნილმა განაცხადა: "კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ რუსეთისთვის უკეთესი იქნება, ნავთობის ფასის მკვეთრ დაეცემას შეეგუოს. ეს არის ერთადერთი გზა, რათა აიძულოს საკუთარი თავი, ეკონომიკის დივერსიფიკაცია სწრაფად მოახდინოს".

მისი თქმით, ინვესტორებს ჯერ კიდევ არ სჯერათ რუსეთის ეკონომიკის დივერსიფიკაციის და საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილი. "მათ ამის მტკიცებულებების დანახვა სურთ, მაგრამ მსგავსი რამ ჯერჯერობით არ ჩანს," - ამბობს ო' ნილი.

ინვესტორის აზრით, ინვესტორები შიშობენ პოლიტიკური და სოციალური საპროტესტო გამოსვლების გამო, რომლებიც მოსკოვში გაიმართა და "მათ ასევე აინტერესებთ რა შედეგებს გამოიღებს მასობრივი გამოსვლები და მოვლენები როგორ განვითარდება".

მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთიდან კაპიტალის გადინება საპროტესტო გამოსველების გამო არ მომხდარა: "ფული იმიტომ გარბის, რომ ის რუსებს ქვეყნიდან გაქვთ და კაპიტალის გადინების პროცესი სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას ფიქრობენ უცხოელი ინვესტორები."

მისი თქმით, რუსეთი კვლავ საინტერესოა უცხოელი ინვესტორებისთვის.

როგორც Goldman Sachs Asset Management-მმართველმა დასძინა, "საინტერესოა, ძალიან საინტერესოა. ქვეყნაში, დაახლოებით, 140 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც ყველაზე მეტია, ვიდრე სადმე ევროპაში. ამიტომაც რუსეთის ეკონომიკა სიდიდით მეათეა მსოფლიოში და ამიტომაც რუსეთით ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანია დაინტერესებული".

# BRIC-ის ქვეყნების ვალუტა მკვეთრად დაეცა, ინვესტორები ბაზრიდან გარბიან

თინა შავაძე




უმსხვილესი განვითარებადი ქვეყნების (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი) ვალუტამ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მკვეთრი დაცემა აჩვენა და 1998 წლის დონეს გაუტოლდა, - ამის შესახებ Bloomberg-ი ანალიტიკოსებზე დაყრდნობით იტყობინება.

პირველად 13 წლის განმავლობაში რუბლმა, რეალმა და რუპიამ სხვა სწრაფად განვითარებადი ქვეყნების ვალუტასთან, მაგალითად, იუანთან შედარებით, ისეთი სწრაფი გაუფასურება განიცადა, რომლის მსგავსიც 1994 წელსაც კი არ დაფიქსირებულა.

გასულ კვირას რუბლი 2.4 პროცენტით შესუსტდა, რუპია დოლარის მიმართ 2.9 პროცენტით, ხოლო ბრაზილიური რეალი 0,8 პროცენტით დაეცა.

კომპანია Procter & Gamble-მა შემოსავლების პროგნოზი ბოლო ორ თვეში სავალუტო ზარალის გამო მეორედ შეამცირა.

ბრაზილიურმა Fibria Celulose SA-მა, ცელულოზას უმსხვილესმა მწარმოებელმა, ბანკებს დოლარში სესხებზე შეზღუდვების მოხსნა მას შემდეგ სთხოვა, რაც რეალი სამი წლის წინანდელ მინიმუმამდე დაეცა.

"ინვესტორები ოთხი უმსხვილესი ქვეყნების ბაზრიდან, როგორც BRIC-ი იუწყება, იმის გამო გარბიან, რომ ბრაზილიაში 2009 წლიდან სამომხმარებლო ჯარიმის საპროცენტო განაკვეთი უმაღლეს დონემდე გაიზარდა, რუსეთის ნავთობის ექსპორტის ფასები დაეცა და 18 თვის წინანდელ მინიმუმს გაუტოლდა, გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტის ინდოეთში, ჩინეთში კი საცხოვრებელი ფართის ფასი დაეცა," - განაცხადეს Bloomberg-თან საუბარში ინვესტორებმა, რომლებმაც ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებით დიდი ზარალი განიცადეს.

"როდესაც მსოფლიოს ეკონომიკური ზრდისა და კაპიტალის შემოდინების ტეპი ეცემა, ეს ამ ქვეყნებში ბევრ პრობლემას ქმნის და აიძულებს ხალხს, შეჩერდნენ და კითხვები დასვან", - ამბობს hedge-fond-ის SLJ Macro Partners-ის მმართველი პარტნიორი სტივენ ჯენი.

# სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებს „ბანკი კონსტანტას" ორი ახალი ფილიალი შეემატა






"ბანკი კონსტანტა" ფილიალების ქსელის გაფართოებას აგრძელებს. ამჯერად ახალი ფილიალი ზუგდიდში, კიკალიშვილის N1-ში გაიხსნა. როგორც ბანკის ხელმძღვანელობა აცხადებს, დასავლეთ საქართველოში დამატებითი ფილიალების გახსნა ამ რეგიონში "ბანკი კონსტანტას" მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა.

ზუგდიდის ფილიალის გახსნას წინ უსწრებდა 21 ივნისს ხონში (იმერეთის რეგიონი) "ბანკი კონსტანტას" კიდევ ერთი ფილიალისა და იორმუღანლოში (საგარეჯოს რაიონი) სერვის-ცენტრის გახსნა.

ახლად გახსნილი ფილიალები და სერვის-ცენტრი "ბანკი კონსტანტას" მიერ შექმნილი ახალი კონცეფციის მიხედვით არის გაკეთებული. კონცეფცია შემუშავებულია მომხმარებლისთვის მყუდრო და მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად და ითვალისწინებს განახლებულ დიზაინსა და მომსახურების მაქსიმალურ კომფორტს.

ხონისა და ზუგდიდის ფილიალებში შესაძლებელია სრული საბანკო მომსახურების მიღება როგორც საკრედიტო, ისე საოპერაციო მიმართულებებით: სხვადასხვა მიზნობრიობის სესხებით სარგებლობა, ანგარიშების მომსახურება, ანაბრებით სარგებლობა, ფულადი გზავნილებისა და კომუნალური გადახდების განხორციელება. იორმუღანლოს სერვის-ცენტრის მეშვეობით კი ადგილობრივ მოსახლეობას აქვს საშუალება, მიიღოს სრული ინფორმაცია "ბანკი კონსტანტას" საბანკო პოდუქტებსა და მომსახურებაზე და განახორციელოს არაერთი სახის საბანკო ოპერაცია. ეს მნიშვნელოვნად გაამარტივებს მომხმარებლის ურთიერთობას ბანკთან და ხელს შეუწყობს მათი დროის დაზოგვას, რადგან ფილიალში სტუმრობა, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთხელ - სესხის ასაღებად დასჭირდებათ. დანარჩენი ოპერაციების განხორციელება კი სერვის-ცენტრში იქნება შესაძლებელი. **"ფილიალების ქსელის განვითარება შეუქცევადი პროცესია. მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოს მასშტაბით კიდევ ათამდე ახალი ფილიალის გახსნა და არსებულთა განახლება გვაქვს დაგეგმილი. აღნიშნული პროცესი მხოლოდ ფილიალების რაოდენობის ზრდას არ გულისხმობს: შემუშავდა კონცეპტუალურად სრულიად ახალი - იდენტური ნიშნის მატარებელი ფილიალების სტრუქტურა, სადაც ჩვენი კლიენტებისთვის ყველა პირობაა შექმნილი კომფორტისა და უმაღლესი ხარისხის ფინანსური მომსახურების მისაღებად. ვიმედოვნებთ, რომ ახალი ფილიალები როგორც ხონისა და ზუგდიდის, ისე მთლიანად იმერეთისა და სამეგრელოს მოსახლეობას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საკუთარი ბიზნესის განვითარებაში,"** - განაცხადა "ბანკი კონსტანტას" გენერალურმა დირექტორმა ლევან ლებანიძემ.

ამჟამად იმერეთში უკვე ფუნქციონირებს "ბანკი კონსტანტას" სამი ფილიალი - ქუთაისში, ზესტაფონსა და სამტრედიაში; სამეგრელოში, ზუდგდიდის გარდა, კიდევ ერთი ფილიალი ფოთში მოქმედებს; კახეთში კი 7 ფილიალი და ორი სერვის-ცენტრია გახსნილი. როგორც "ბანკი კონსტანტას" ხელმძღვანელობა აცხადებს, ბიზნესის განვითარების მხრივ სამივე რეგიონი საკმაოდ პერსპექტიულია, რაზეც "ბანკი კონსტანტას" კლიენტთა მუდმივად მზარდი რაოდენობა და გაცემული სესხების პორტფელის მოცულობა მეტყველებს.



# ახალი სამშენებლო კომპლექსი "M² იპოდრომთან" - ბინები დასრულებული რემონტით

სბ უძრავი ქონება
SB REAL ESTATE

საქართველოს ბანკის შვილობილმა კომპანიამ "სბ უძრავი ქონება"-მ, ახალი სამშენებლო კომპლექსის M² იპოდრომზე" პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტს ჰოლანდიური განვითარების ბანკი (FMO) და საქართველოს ბანკი ერთობლივად აფინანსებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიური განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი დაფინანსება ამ დრომდე, საქართველოში საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობისთვის გამოყოფილ თანხებთან შედარებით უპრეცედენტოა და 20 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

საცხოვრებელი კომპლექსი თამარაშვილის ქ. N 13-ში შენდება. კომპლექსის მდებარეობა იდეალურია - ყოფილი იპოდრომის ტერიტორიასთან, ბუნებასთან ახლოს და ამავდროულად ქალაქის ცენტრში. ბინების გეგმარება ეფუძნება ყოველი კვადრატული მეტრის ეფექტურად გამოყენებას და მათი ფართი 47-სა და 172 კვ.მ-ს შორის მერყეობს, თქვენი არჩევანისამებრ. ამასთან, ნებისმიერი ბინის პროექტში საშუალება გექნებათ შეიტანოთ შესწორება და საკუთარი მოთხოვნის მიხედვით - გააერთიანოთ ბინები, შეცვალოთ გგანლაგება და იყიდოთ ზუსტად იმ ფართის ბინა, რაც გჭირდებათ. ბინები ბარდება დასრულებული რემონტით, რაც ნიშნავს იმას რომ პირადაპირ შეხვალთდა იცხოვრებთ საკუთარ ბინაში. აღსანიშნავია, რომ რემონტის შესრულებისას გათავლისწინებული იქნება თქვენი გემოვნება.

კომპლექსის მშენებლობა ხორციელდება უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალებით. ამავდროულად, ჰოლანდიის განვითარების ბანკის ინიციატივით, მშენებლობაზე კონტროლს საერთაშორისო საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანია ახორციელებს. კომლექსში გათვალისწინებულია კერამოგრანიტით მოპირკეთებული სადარბაზო, რკინის მთავარი შესასვლელი კარი, გარე კარ-ფანჯარა ორმაგი მინით, გათბობის ინდივიდუალური სისტემა, შეღებილი კედლები, განათების სისტემა, ლამინირებული ხის შიდა კარები, თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერი, ლამინატის იატაკი, სანტექნიკური კომპლექტი, ასევე, ტელეფონი, ინტერნეტი და საკაბელო ხაზები.

საცხოვრევრებელ კომპლექსში M² იპოდრომზე" ყველაფერია გათვალისწინებული მაქსიმალური კომფორტისთვის. მთლიანი ასაშენებელი ფართობი 63,247 კვადრატული მეტრია. კომპელექსი შედგება 9 დამოუკიდებელი შენობისაგან, რომელიც განთავსებულია 15,000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. კომპლექსს ექნება 6,000 კვ.მ. მოცულობის სარეკრეაციო ზონა, სადაც მოეწყობა შიდა ეზო, საბავშვო მოედანი და სხვა სახის გასართობი ინფრასტრუქტურა. კომპლექსში განთავსდება 237 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომი. ასევე, იფუნქციონირებს 24 საათიანი დაცვის, სადარბაზოს, ლიფტებისა და ეზოს დასუფთავებისა და გამწვანების მოვლის სამსახურები.

M² ოპოდრომზე" ბინის შესაძენად, მსურველს შეუძლია ისარგებლოს როგორც საქართველოს ბანკის იპოთეკური სესხით, ასევე შიდა განვადებით. შიდა განვადების შეთხვევაში, მინიმალური თანამონაწილეობა შეადგენს ბინის ღირებულების 35%-ს. აღსანიშნავია, რომ განვადების ვადა 2014 წლის სექტემბრამდე, ანუ მშენებლობის დასრულებამდე გრძელდება; შესაბამისად, ბინის მფლობელი სრულ თნხას მხოლოდ კომპლექსის დასრულებისას იხდის, უზრუნველყოფას კი მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება შეადგენს.

"საქართველოს ბანკის" იპოთეკური სესხით ბინის შეძენის შემთხვევაში, სესხის ვადა შეადგენს 10 ან 15 წელს, თანამონაწილეობა - შესაძენი ბინის ღირებულების 10%-დან 40%-მდე, უზრუნველყოფა - მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება. "საქართველოს ბანკის" იპოთეკური სესხით სარგებლობა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ყველა ფიზიკურ პირს, ვისი ყოველთვიური შემოსავალიც თვეში 750 ლარს და მეტს შეადგენს.

M² იპოდრომთან" კომპანია სბ უძრავი ქონების" მეორე პროექტია. კომპანიამ უკვე წარამატებით განახორციელა ერთი მსხვილი პროექტი - თანამედროვე დიზაინის ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა თბილისის ერთ-ერთ ძველ, კოლორიტულ უბანში, ჩუბინაშვილის ქუჩა N68-ში, მშენებლობა 2012 წლის აგვისტოში დასრულდება.

M² იპოდრომთან" კომპლექსის მშენებლობა კი 2014 წლის სექტემბერში დასრულდება.

## თბილისი-2015-ის ლოგოს პრეზენტაცია, ელჩების წარდგენა და მარათონი

საერთაშორისო ოლიმპიური კვირეულის ფარგლებში, დღეს "თბილისი 2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტი, თბილისის მერიის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით ღონისძიებას გამართავს.

ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს "თბილისი 2015" ახალი ლოგო და სლოგანი აქვს. ახალი ლოგოს/სლოგანის პრეზენტაცია ვარდების რევოლუციის მოედანზე გაიმართება. დადგმაში 500 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

სიტყვით გამოვა თბილისის მერი გიგი უგულავა. ფესტივალს საპატიო ელჩები არიან ოლიმპიურ ჩემპიონები დავით გობეჯიშვილი, გიორგი ასანიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, რობერტ შავლაყაძე, ვაჟა კაჭარავა, მზია ჯუღელი, რომან რურუა, მანუჩარ კვირკველია და დავით ხახალეიშვილი.

საპატიო ელჩებს წარადგენენ და სიგელებს გადასცემენ "თბილისი 2015"-ის დირექტორი არჩილ გეგენავა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი.

ღონისძიების წაუძღვება: დიმა ობოლაძე, ხოლო "თბილისი 2015"-ის ჰიმნს შეასრულებს "დუეტი ჯორჯია".

ბრენდბუქის და საპატიო ელჩების წარდგენის შემდეგ, ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით მოეწყობა მარათონი ვარდების რევოლუციის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე.

მარათონში მონაწილეობას მიიღებენ: გიგი უგულავა, გია ნაცვლიშვილი, არჩილ გეგენავა, ლადო ვარძელაშვილი. "თბილისი 2015"-ის ფესტივალში ჩართული არიან სპორტული ფედერაციები, სპორტსმენები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ახალგაზრდა სპორტსმენები და ბავშვები.

ღონისძიება დასრულდება თავისუფლების მოედანზე. მარათონის მონაწილეებს გადაეცემათ "თბილისი 2015"-ის მაისურები და ოლიმპიური დღის სიგელები.

## ტოჩინოშინი მეოთხე მაეგაშირობამდე დაწინაურდა

გამოქვეყნდა სუმოისტთა ივნისის რეიტინგი. მაკუჩი დივიზიონში ისევ ორი ქართველია. ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) მომავალ ბაშოს მეოთხე მაეგაშირას რანგში შეხვდება, თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ) კი მეშვიდე მაეგაშირობამდე დაქვეითდა. რაც შეეხება ძუროს დივიზიონში მყოფ კოკაის (ლევან ცაგურია), ის ახლა ძუროს დივიზიონის მეშვიდე საფეხურზეა.

| დასავლეთი | | აღმოსავლეთი |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | - |
| კისენოსატო | ოძეკი | კოტოშოგიკუ |
| ბარუტო | ოძეკი | ჰარუმაფუჯი |
| კოტოშუ | ოძეკი | კაკურიუ |
| გოეიდო | სეკივაკე | ტოჩიოზანი |
| მიოგირიუ | კომუსუბი | ტოჩინოშიმა |
| კუკუტენჰო | I მაეგაშირა | ამინაშიკი |
| აოიამა | მე-2 მაეგაშირა | ოკინოუმი |
| ვაკაკოიუ | მე-3 მაეგაშირა | შოჰოზანი |
| ტოჩინოშინი | მე-4 მაეგაშირა | ტაკეკაზე |
| არანი | მე-5 მაეგაშირა | ტაკაუასი |
| ჰომაშო | მე-6 მაეგაშირა | შოტენერო |
| გაგამარუ | მე-7 მაეგაშირა | ტოიჰიბიკი |
| იოშიკაზე | მე-8 მაეგაშირა | კაისეი |
| მიაბიამა | მე-9 მაეგაშირა | ტოკიტენუკი |
| ტამასუკა | მე-10 მაეგაშირა | ტაკარაფუჯი |
| ტამავაში | მე-11 მაეგაშირა | კიტატაიკი |
| სადანოფუჯი | მე-12 მაეგაშირა | ტაკანოუმა |
| დაიდო | მე-13 მაეგაშირა | მასონოუმა |
| ტოჩინოვაკა | მე-14 მაეგაშირა | ვაკანოსატო |
| ჰოჩიამა | მე-15 მაეგაშირა | ჩიოტარიუ |
| იკიოი | მე-16 მაეგაშირა | |

## "ბაიერნს" რობენი აღარ სჭირდება

როგორც ჩანს, არიენ რობენს "ბაიერნიდან" გაუშვებენ. გერმანული კლუბის მესვეურებს «სიტის» ფორვარდის ედინ ჯეკოს გადაბირება სურთ.

"რეკორდმაისტერი" ბოსნიელის სანაცვლოდ "ქალაქელებს" არიენ რობენს და კიდევ რამდენიმე მილიონ ევროს სთავაზობს.

ჯეკომ, რომელიც "ვოლფსბურგში" თამაშობდა და ბუნდესლიგა კარგად იცის, რობერტო მანჩინის გუნდის ძირითად შემადგენლობაში მყარად ვერ მოიკიდა ფეხი და გამორიცხული არ არის, კლუბის შეცვლა მოისურვოს. თავის მხრივ, მიუნხენიდან რობენის წასვლის შესახებაც დიდი ხანია საუბრობენ.

ჯეკო 40 მილიონ ევროდაა შეფასებული.

## კასილიასი: "რონალდუ ფორმის პიკში არ არის"

ესპანეთის ნაკრების მეკარეს იკერ კასილიასს მიაჩნია, რომ პორტუგალიის ნაკრების ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ ამჟამად ფორმის პიკში არ არის.

«არა მგონია, რონალდუ ახლა ფორმის პიკში იყოს, რადგან საუკეთესო თამაშს «რეალში» აჩვენებდა. სწორედ «რეალში» თამაშისას მიაღწია ფორმის პიკს, რისი დასტურიც მისი საუცხოო თამაში და არაერთი რეკორდია. ახლა თუ მის თამაშს ხუთბალიანი სისტემით შევაფასებთ, ოთხ-ნახევარზე მეტს არ დავუწერდი", - თქვა კასილიასმა.

პორტუგალიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები ევროპის პირველობის ნახევარფინალში ხვდებიან ერთმანეთს. რონალდუ და კასილიასი კი მადრიდის "რეალში" ერთად თამაშობენ.

# ტატიშვილმა უიმბლდონზე პირველი წრე იოლად გაიარა

გიგა გურასაშვილი



ტატიშვილი იოლად გავიდა უიმბლდონის მეორე წრეში

უიმბლდონის ძირითად ბადეში დაშვებულმა საქართველოს პირველმა ჩოგანმა ანა ტატიშვილმა პირველ წრეში ტაილანდელ ტამარინე ტანასუგარნს იოლად სძლია (6:4, 6:2) და მეორე წრეში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ვეტერან ტაილანდელზე გამარჯვების წყალობით, 22 წლის ქართველმა შარშან გამომუშავებული 100 სარეიტინგო ქულაც დაიცვა.

ტატიშვილი 35 წლის ბანგკოკელთან შეხვედრის სტარტზევე 4:0 დაწინაურდა. მართალია, მსოფლიო კლასიფიკაციის 114-ე ჩოგანმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ ჯამში სეტის შემობრუნება მაინც ვერ მოახერხა.

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) განახლებულ რეიტინგში 73-ე ადგილზე მყოფმა ტატიშვილმა მეორე სეტში გამოცდილ ტაილანდელზე კიდევ უფრო კარგად ითამაშა და შეხვედრაც მოიგო.

შარშან, ამავე არენაზე, ამავე წრეში, ტატიშვილმა რუსი ანასტასია პივოვაროვა დაამარცხა, მე-19 ნომრად განთესილ ბელგიელ იანინა ვიკმაიერთან კი ვერაფერი გააწყო (6:3, 4:6, 2:6) და უიმბლდონს გამოეთიშა. ასე რომ, ქართველ ჩოგბურთელს შარშანდელი შედეგის გაუმჯობესების შანსი აქვს, მით უმეტეს, რომ მეორე წრეში ელის შეხვედრა მასზე რეიტინგში დაბლა მდგომ 20 წლის იტალიელ კამილა გიორგისთან (WTA რეიტინგის 145-ე ჩოგანი), რომელმაც, ბევრისთვის მოულოდნელად, მსოფლიოს მეჩვიდმეტე ჩოგანი, თანამემამულე ფლავია პენეტა 6:4, 6:3 დაამარცხა.

ანა ტატიშვილისა და კამილა გიორგის გზები აქამდე არასდროს გადაკვეთილა. იტალიელზე გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ჩოგბურთელი დამატებით 60 სარეიტინგო ქულას გამოიმუშავებს.

ტატიშვილი წყვილებშიც მოსინჯავს თავის შესაძლებლობებს: რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად პირველ წრეში მეათე ნომრად განთესილ ამერიკელთა ტანდემს - აბიგეილ კოპს-ჯოუნსი - რაქუელ სპირსს დაუპირისპირდება.

# ბაქოური ბარიერი „ზესტაფონისთვის"

პირველი გვერდიდან




ამ კლუბს სტაჟიანი ქართველი ქომაგისთვის წარდგენა არ სჭირდება. "ნეფთჩი" ყოველ წელიწადს სტუმრობდა თბილისს და, როგორც წესი, "დინამოსთან" მატჩის შემდეგ დამარცხებული ბრუნდებოდა სამშობლოში. მაგრამ ეს გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე, საბჭოა კავშირის ჩემპიონატებში ხდებოდა. მას შემდეგ ოც წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში "ნეფთჩი" შვიდჯერ გახდა აზერბაიჯანის ჩემპიონი, ათჯერ კი ქვეყნის თასი მოიგო. ევროპულ სარბიელზე ეს გუნდი რეგიონული თვალსაზრისითაც კი სუსტად ასპარეზობს. ბაქოს კლუბს არც ერთ ტურნირში ჯგუფურ ეტაპამდე არ მიუღწევია. ახლა კლუბს წვრთნის ბეიუქაღა გაჯიევი. "ნეფთჩი" ფინანსურად უზრუნველყოფილი კლუბია. გუნდის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 14 მილიონი დოლარია, რაც სამჯერ აღემატება მისი ქართული ოპონენტის ბიუჯეტს. თუმცა, ამ მნიშვნელოვან გარემოებს გადამწყვეტ ფაქტორად არ თვლის "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია, რომელიც წყვილში ფავორიტად თვლის საქართველოს ჩემპიონს.

"ჩვენ შორს მიმავალი გეგმები გვაქვს. წყვილში ფავორიტები ვართ და იმედი მაქვს, "ნეფთჩის" ბარიერს გადავლახავთ. უკმაყოფილო ვარ ბაქოური კლუბის მთავარი მწვრთნელის ნათქვამით. მან თქვა, რომ ხელოვნურსაფარიან მოედანზე გვიმასპინძლებს. ეს ძალიან ცუდია ფეხბურთისთვის, მით უფრო ზაფხულში", - განუცხადა "აზერსპორტს" ილია კოკაიამ.

პრეზიდენტის პათოსს იზიარებს ზესტაფონელთა თავკაციც, თუმცა, გია ჭიაბრიშვილი შეფასებისას უფრო ფრთხილია.

"კენჭისყრით გახარებული არ ვარ. შეიძლებოდა უფრო სუსტი მეტოქე შეგვხვედროდა. აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი ინვესტიციები განხორციელდა. ამ თვალსაზრისით არც "ნეფთჩია" გამონაკლისი, რომელიც არც ბიუჯეტის სიმწირეს უჩივის და ძვირად ღირებული ფეხბურთელებიც ჰყავს, მათ შორის, სამხრეთამერიკელები. "ნეფთჩის" ამხანაგურ მატჩშიც არ შევხვედრივართ, თუმცა, მოსამზადებელ პერიოდში ამ კლუბის თამაში გვინახავს. შემიძლია ვთქვა, რომ კარგი გუნდია. თუმცა, ეს გარემოება ჩვენს მიზანს არ ცვლის: "ზესტაფონი" შემდეგ ეტაპზე გასვლას გეგმავს", - ასეთია გია ჭიაბრიშვილის პირველი კომენტარი.

# წილი ნაყარია:

## "დილა" - "ორჰუსი", "ტორპედო" - "აქტობე", "მეტალურგი" - "ტეუტა"

მიხეილ აბაიშვილი

ჩემპიონთა ლიგის წილისყრის კვალდაკვალ, უეფამ ევროპის ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მონაწილე გუნდებიც დააწყვილა. ამ ტურნირში პირველივე ეტაპიდან ორი ქართული კლუბი - ეროვნულ ჩემპიონატში მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები, შესაბამისად, რუსთავის "მეტალურგი" და ქუთაისის "ტორპედო" აიღებენ სტარტს. ქუთაისელებს საფეხბურთო ფორტუნამ ყაზახეთის "აქტობე" არგუნა მეტოქედ, რუსთავის "მეტალურგს" კი ალბანეთის წარმომადგენლის "ტეუტას" ბარიერის დაძლევა მოუწევს.

"ტორპედოს" მეტოქე "აქტობე" ორი წლის წინ უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის "მეტალურგს" დაუპირისპირდა. მაშინ ორი თამაშის ჯამში გამარჯვება ყაზახურ გუნდს დარჩა. გუნდებმა რუსთავში ფრედ - 1:1 ითამაშეს, ყაზახეთში კი "აქტობემ" 2:0 გაიმარჯვა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. გასულ სეზონში "აქტობემ" ყაზახეთის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. "ტორპედოსა" და "აქტობეს" შორის პირველი შეხვედრა 5 ივლისს ქუთაისში გაიმართება, ხოლო საპასუხო მატჩი ყაზახეთში 12 ივლისს ჩატარდება.

პირველ მატჩს რუსთავის "მეტალურგი" სტუმრად ალბანეთში ჩაატარებს, ხოლო საპასუხო შეხვედრა რუსთავში 12 ივლისს გაიმართება. რუსთაველთა მეტოქე, ქალაქ დურეშის წარმომადგენელი "ტეუტა" გასულ სეზონში ალბანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და ერთი ქულით ჩამორჩა ჩემპიონს - "შკანდერბეუს".

ქართულ კლუბთაგან ყველაზე საფეხბურთო ქვეყნის წარმომადგენელი შეხვდა გორის "დილას", რომელიც ქვეყნის თასის მფლობელის პრივილეგიით სარგებლობს და ევროპის ლიგის კვალიფიკაციაში პირველის გამოტოვებით, პირდაპირ მეორე ეტაპიდან ერთვება. გორულ კლუბს წილისყრამ მეტოქედ არგუნა დანიის ოთხგზის ჩემპიონი "ორჰუსი". ამ კლუბში ორი ქართველი ფეხბურთელია - საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების წევრი დავით სხირტლაძე და დავით დევდარიანი. "ორჰუსისა" და "დილას" პირველი შეხვედრა დანიაში, 19 ივლისს გაიმართება. საპასუხო მატჩი 26 ივლისს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის არენაზე ჩატარდება.

# მანუ კალათბურთია

ზურაბ თალაკვაძე

10.4 ქულა, 3.1 მოხსნა, 1.4 პასი - მანუჩარ მარკოიშვილმა სეზონი რესპექტაბელური სტატისტიკით დახურა. მანუ "კანტუს" ერთ-ერთი ლიდერი იყო. პრინციპში, არის. მარკოიშვილი "კანტუში" დარჩა და ახალ სეზონს კლუბი ახალი შემადგენლობით გახსნის. გიორგი შერმადინი დევიდ ბლატთან, "მაკაბიში" წავიდა და "კანტუში" ჩვენი ინტერესი ისევ მარკოიშვილია. ყოველთვის იყო. მანუჩარი სანდო და რეალურად მაგარი პერსონაჟია. "კანტუში", ნაკრებში, ყველგან. რაღაცები არ იცვლება.

"კანტუმ" ევროლიგაზე პირველი ეტაპი გაიარა, თექვსმეტ საუკეთესოში დაჯდა და მეორე დონეზეც საინტერესოდ ითამაშა. მარკოიშვილი TOP 16-ის ბოლო ტურის MVP გახდა - "ჟალგირისთან" 38 წუთში 32 ქულა აკრიფა, 5 სამიანი ზუსტად ისროლა, არარეალურად გააკეთა ყველაფერი. მანუ თბილისშია, ისვენებს. ამ დღეებში ჩვენც შემოგვიარა.



*მანუჩარ მარკოიშვილი "კანტუში" დარჩა*

**მანუჩარ მარკოიშვილი**: "კანტუს" ნორმალური სეზონი ჰქონდა. ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, იტალიის ჩემპიონატში, ფლეი-ოფში წარუმატებელი თამაში ლოგიკური იყო. კლუბი გამოდიოდა ევროლიგაზე და ორ ტურნირში ენერგია ვერ გადავანაწილეთ. მოგების, პროგრესის სურვილი იყო და რაღაც მომენტში ვერ გავიქეცით, დავდექით. "კანტუმ" ნორმალური შემადგენლობით ევროლიგაზე მაქსიმუმი გააკეთა. საკუთარ დარბაზში ძალიან კარგად, მშვიდად ვაკეთებდით ყველაფერს და თექვსმეტ საუკეთესოში შევედით. "კანტუმ" მიიღო სხვა, საინტერესო ტურნირში თამაშის გამოცდილება. უბრალოდ, იტალიური გარჩევებისთვისაც რომ დაგვრჩენოდა ენერგია, კარგი იქნებოდა.

**- სეზონის განმავლობაში ბევრი ტრავმირებული გყავდათ.**

- ძალიან ბევრი. ფლეი-ოფში გავედით "სკავოლინიზე", რომელსაც ნორმალური შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ "კანტუ" მაინც ფავორიტი იყო. თუნდაც ჩვენი სტატუსიდან გამომდინარე. შარშან ფინალში ვიყავით და თითქმის იგივე შემადგენლობით ვიწყებდით ამ ფლეი-ოფს. ევროლიგაზე იყო რამდენიმე თამაში, როცა "კანტუმ" უფრო გამოცდილ, უკეთ დაკომპლექტებულ გუნდზე მეტი გააკეთა. კლუბი იღებს გამოცდილებას და შემდეგი სეზონისთვის, რომელშიც "კანტუ" ევროლიგის კვალიფიკაციაში მიიღებს მონაწილეობას, ეს საჭირო იქნება.

**- ჩემპიონი ისევ "სიენა" გახდა. დამღლელია...**

- კი, დამღლელია, მაგრამ რაღაცები არ იცვლება. "სიენას" ამ წლებში სხვაზე უკეთესი სპონსორები ჰყავდა და მეტი ფინანსებით მეტ უკეთეს მოთამაშეს ყიდულობდა. ლოგიკურიცაა. არ ვიცი, რამდენად მართლია, მაგრამ ამბობენ, რომ "სიენას" ფინანსური პრობლემები აქვს და ყველა ლიდერს ვერ შეინარჩუნებს. ესეც ნორმალურია. ნებისმიერ წარმატებულ კლუბს აქვს პერიოდი, როდესაც უნდა დაისვენოს, რაღაც შეცვალოს, ახალი გზა აირჩიოს. "სიენაში" ბევრი კარგი მოთამაშეა. თუ მაკალები და ლავრინოვიჩი გუნდში დარჩებიან, უკვე საინტერესო იქნება. შენზე უკეთეს მოწინააღმდეგეს საკუთარი ტაქტიკით და პოტენციალის ბოლომდე გამოყენებით უნდა მოუგო. არ უნდა დაელოდო, როდის დასუსტდება ის გუნდი შენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. კალათბურთში კალათბურთით იგებ და არა სხვა ფაქტორებით.

**- ევროლიგაზე თამაშით, ალბათ, კმაყოფილები უნდა იყოთ.**

- კი, ძალიან კარგად ვითამაშეთ. მეორე ეტაპზე ჩვენზე უკეთესი იყო "მაკაბი" და, ალბათ, არასწორია იმის თქმა, რომ არ გავიმართლა. "ბარსელონასთან" თითქმის 38 წუთი ვიგებდით და ბოლოს წავაგეთ. "ბარსელონა" ჩვენზე გამოცდილი გუნდია. "კანტუმ" მაქსიმუმი გააკეთა.

**- მანუ, ბაზილე გუნდში რჩება?**

- ამ ეტაპზე ბაზილე "კანტუშია" და, როგორც ვიცი, შემდეგ სეზონსაც ჩვენთან ითამაშებს.

**- გიორგი შერმადინი კარიერას "მაკაბიში" გააგრძელებს. შენგან ჯერ შერმადინის სეზონის რეზიუმე გვაინტერესებს...**

- გიო გაიზარდა, ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა. უკეთ ისწავლა საკუთარი ნიჭის, ენერგიის გამოყენება და ნაკლებ შეცდომას უშვებს. შერმადინი "კანტუს" ერთ-ერთი ლიდერი იყო და ტრავმა რომ არ მიეღო, ბევრს მოასწრებდა, მეტს ითამაშებდა და, შესაბამისად, "კანტუს" ნაკლები პრობლემა ექნებოდა. "მაკაბი" შერმადინს ბევრს მისცემს, მაგრამ კლუბმაც საჭირო, პროგრესირებადი მოთამაშე მიიღო. დევიდ ბლატმა იცის ყველას შესაძლებლობების ბოლომდე, გუნდისთვის იდეალურად გამოყენება. ევროპაში, ალბათ, მსოფლიოშიც, ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. შერმადინის ტრანსფერი გიოსა და მისი ახალი კლუბისთვის საჭირო იყო.

**- ... და კიდევ ერთი თემა გიორგისთან დაკავშირებით - ვის იმატებს "კანტუ" შერმადინის ნაცვლად?**

- არ ვიცი. ფაქტია, რომ გიორგი ვინმემ უნდა შეცვალოს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ვის დავიმატებთ.

**- საკუთარი სეზონით კმაყოფილი ხარ? ხომ არ იყო პრობლემები სათამაშო დროსთან დაკავშირებით?**

- ყველა მოთამაშეს მაქსიმუმის გაკეთება უნდა. ხანდახან ნაკლებ დროს გაძლევენ და ცდილობ, მეტი დრო მეტი ლტოლვით, მეტი ენთუზიაზმით მიიღო. "კანტუს" ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს, რომელმაც გუნდს ბევრი მისცა და მეტს მისცემს. ის, რომ კლუბმა ადრე დაამთავრა იტალიის ფლეი-ოფი, მოთამაშეების, მწვრთნელების ბრალია. ყველამ ცოტ-ცოტა დავაკელით საერთო საქმეს. ალბათ, "სკავოლინისთან" წაგების მთავარი მიზეზი მაინც ტრავმებია. არ გვყავდა შერმადინი, არ გვყავდა კიდევ ერთი ლიდერი, მიცოვი. ოპტიმალური შემადგენლობით ოპტიმალურ კალათბურთს ვითამაშებდით.

# „ბოსტონში" შენგელიაზე ალაპარაკდნენ



*შენგელია "ატლანტას" დარბაზში ფაჩულიას 27-ნომრიანი მაისურით ვარჯიშობს*

28 ივნისს ნიუ ჯერსიში NBA-ს დრაფტი გაიმართება. მსოფლიოში საუკეთესო საკალათბურთო ლიგის გუნდები ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელებით შეივსებიან.

კარგა ხანია NBA-ს დრაფტი ქართველებში განსაკუთრებულ ინტერესს აღარ იწვევს - ზაზა ფაჩულიას შემდეგ ხომ დრაფტზე ქართველი არ აურჩევიათ. წლევანდელი დრაფტი კი დიდ ინტერესს იწვევს. თორნიკე შენგელია დრაფტზე დადგა და, სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდს NBA-ს რომელიმე კლუბი აირჩევს.

თუ სად ითამაშებს შენგელია მომავალ სეზონში, ამას 28 ივნისს შევიტყობთ. მანამდე კი ამერიკული ინტერნეტ გამოცემები ნაირგვარ ვარაუდებს გამოთქვამენ. უახლესი ინფორმაციით, შენგელიათი დაინტერესდა «ბოსტონ სელტიქსი", რომელსაც წლევანდელ დრაფტზე სამი არჩევანის უფლება აქვს: პირველ რაუნდში 21-ე და 22-ე და მეორე რაუნდში - 51-ე.

ვებგვერდზე greenstreet.weei.com, რომელიც ბოსტონური გუნდის საქმიანობას აშუქებს, შენგელიასადმი მიძღვნილი მცირე წერილი გამოქვეყნდა. «ბოსტონის" სადრაფტო შანსი: ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია - ასე დაასათაურა თავისი მასალა ვებგვერდის ჟურნალისტმა სტეფან ჰიუიტმა, რომელმაც ქართველი ფორვარდი კარგად დაახასიათა.

«შენგელიას ულევი ენერგია აქვს. მას ერთნაირად წარმატებით შეუძლია როგორც შეტევაში, ისე დაცვაში თამაში. მიუხედავად იმისა, რომ 207 სანტიმეტრი სიმაღლისაა, ბურთს მშვენივრად ფლობს და ძლიერი ფეხების დახმარებით მიმართულების მყისიერი ცვლილებაც შეუძლია. შენგელია ჩინებული მომხსნელია და პასის ალღოც აქვს. შენგელია გაბარიტებითაც სოლიდურია. შეუძლია მშვენივრად გაართვას თავი მსუბუქი და მძიმე ფორვარდების პოზიციებზე თამაშს. გამორჩეული სისწრაფე მას დიდ უპირატესობას ანიჭებს. ამას ემატება ის, რომ ფარქვეშაც მარჯვეა. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში - ევროლიგაში - შენგელია საშუალოდ (40 წუთში) 9,2 მოხსნას აგროვებდა", - წერია სტატიაში.

ამავე ავტორის თქმით, შენგელიას ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს სუსტი შორი სროლა. «მას მართებს შორი სროლის გამოსწორება, რის შემდეგაც წონიანი მოთამაშე იქნება".

ახლა თორნიკე ამერიკაშია და დრაფტისთვის ემზადება. ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი აშშ-ში ზაზა ფაჩულიას შეხვდა და "ატლანტას" დარბაზში ივარჯიშა.

მოკლედ, 28 ივნისის ღამეს, როცა შენგელიას, სავარაუდოდ, NBA-ს რომელიმე კლუბი დრაფტზე აიყვანს, არჩევის შემდეგ მას არანაკლები ძალისხმევა მოუწევს, ამრჩევი კლუბისგან კონტრაქტი რომ დაიმსახუროს და NBA-ში მომავალი სეზონიდანვე გადავიდეს.

# „პირლოსგან ბავშვები მინდა"

ევრო 2012-ზე პირველი ნულოვანი ფრე დაფიქსირდა. ანგარიშით ყველაზე მოსაწყენი მატჩი სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. იტალია-ინგლისის მატჩს არაერთი ვარსკვლავი ადევნებდა თვალს და თავის ემოციებს "ტვიტერში" აფიქსირებდა.



*პენალტების სერიამდე*

**რუუდ გულიტი:** «ინგლისელები ლომებივით იბრძვიან.»

**ჯოუი ბარტონი (ქპრ):** «იმას, რაც ახლა ხდება მინდორზე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ინგლისის ნაკრების თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა».

**ტიმ კეიჰილი ("ევერტონი"):** "ძალიან ძნელია, ამას თამაში ვუწოდოთ. როგორ არ მინდა პენალტების სერია. საწყენია ასეთ მატჩში პენალტებით დამარცხება."

**ხერარდ პიკე ("ბარსელონა"):** "ყველაფერი პენალტების სერიაში გადაწყდება? ვფიქრობ, სწორედ ასე იქნება."

**ვენსან კომპანი ("სიტი"):** "არ მჯერა. ნუთუ ეს თამაში ფრედ დასრულდება?"

**ფილ ნევილი ("ევერტონი):** "ჯონ ტერი დღეს შეუდარებელი იყო".

**იან რაიტი:** "ჩვენ პენალტების სერიაში მოვიგებთ. ჰარტი ბალოტელის დარტყმას მოიგერიებს".

*პენალტების სერიის პერიოდში და შემდეგ*

**ჯუზეპე როსი ("ვილიარეალი"):** "მიდი, ჯიჯი, მიდი"

**ვენსან კომპანი ("სიტი"):** "ყოჩაღ, მარიო. ასე დარტყმას გაბედვა უნდოდა".

**დემი დე ზეუვი ("სპარტაკი"):** "ხომ ვამბობდი, მარიო გაიტანსმეთქი".

**რაჯა ნაინგოლანი ("კალიარი"):** "ღმერთო ჩემო, რა გააკეთა პირლომ".

**რაიან ბაბელი ("ჰოფენჰაიმი"):** "პირლო, სიტყვები არ მყოფნის".

**მაიკლ ოუენი:** "პირლო, ეს რა ხუმრობა იყო?"

**ჩარლი ადამი ("ლივერპული"):** "უმაღლესი კლასი პირლოსგან".

**ჯოუი ბარტონი (ქპრ):** "პირლოსგან ბავშვები მინდა".

**კრისტიან ნაბოა ("დინამო"):** "პირლო - ხარისხის ნიშანი".

**ხერარდ პიკე ("ბარსელონა"):** "პირლო სუპერკლასია".

**რუუდ გულიტი:** "პირლოს მიერ შესრულებულმა პენალტმა თამაშის ბედი გადაწყვიტა".

**იოსი ბენაიუნი ("ჩელსი"):** "სირცხვილი ინგლისს. გაიმარჯვა უკეთესმა გუნდმა".

**რობინ ვან პერსი ("არსენალი"):** პირლოოოოოოოო".

**არტურ ვიდალი ("იუვენტუსი"):** "ვულოცავ ჩემს მეგობრებს იტალიის ნაკრებიდან. დიდი ფეხბურთელები არიან. პირლო გენიოსია."

**დემი დე ზეუვი ("სპარტაკი"):** "იტალიამ გამარჯვება დაიმსახურა".

**ედინ ჯეკო ("სიტი"):** "პირლო RESPECT".

**ჯოუი ბარტონი (ქპრ):** "არც კი ვიცი, ვის უფრო ეწყინა ასეთი შედეგი - ინგლისელებს თუ გერმანელ ფანებს".

**ლუის საა:** «რეალურად თამაშის ბედი გადაწყვიტა პირლოს პენალტმა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ბუფონის «სეივი».

**მაიკლ ოუენი:** "პირლო მართლაც შეუდარებელი იყო. თუმცა, ჩვენც გვყავს დაახლოებით ასეთი ფეხბურთელი, თითქმის იგივე ასაკის და არც კლასითაა ანდრეაზე ნაკლები. სამწუხაროდ, ის მინდორზე არ ყოფილა... სქოულზი".

# 90 წუთიანი ფოტოსესია "კიკალა სტუდიო"-სგან

59% ფასდაკლება

მხოლოდ Weekend-ის მკითხველებისთვის!







შემოდი GROUPI.GE-ზე და მიიღე
90 წუთიანი ფოტოსესია "კიკალა სტუდიო"-სგან

წარადგინეთ კუპონი გადახდის ქვითართან ერთად

59% ფასდაკლება

195 ლარად!

59% ფასდაკლება

## რუსული ენის ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები გამომცემლობა არტანუჯისაგან

მაია ლორთქიფანიძე
ირინე ჩხეიძე
თამარ ჩიმაკაძე

რუსული ენა ს I – ს VIII




სამუშაო რვეულები სI–სVIII

ყველა სახელმძღვანელოს ახლავს მასწავლებლის წიგნი

აირჩიეთ გამომცემლობა არტანუჯის სახელმძღვანელოები

გამომცემლობა **არტანუჯი**. თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის 77.
ტელ.: 225 05 22, 2 91 22 83, 2 47 55 54, 236 87 48, 599 55 66 54, 599 74 36 72, 5 93 25 05 22. **www.artanuji.ge**